ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



„პაატა ბურჭულაძემ დეკემბერ-მაისში ნახევარ მილიონზე მეტი აიღო“

გვ. 4

5 ოქტომბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

იავნანამ რა ჰქმნა?

და სხვა მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი




ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 2016 №236 (7162) ფასი: 50 თეთრი

# გივი თარგამაძის მანქანა ააფეთქეს




## „უკან მომყვებოდა ის, ვინც ასაფეთქებლად დისტანციურ პულტს დააჭირა“

გუშინ, 4 ოქტომბერს, დაახლოებით 21 საათზე, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერის, გივი თარგამაძის მანქანა ააფეთქეს.

შემთხვევა თავისუფლების მოედანზე მოხდა.

დეპუტატის მანქანა პირიმზის შენობასთან იდგა. გივი თარგამაძე, მძღოლთან ერთად, მანქანაში იმყოფებოდა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გივი თარგამაძე ფიქრობს,, რომ აფეთქება დისტანციური პულტით განხორციელდა.

– ოფისიდან გამოვედით, საჭესთან ჩემი მძღოლი იდგა, კოლმეურნეობაზე ამოხვევის დროს მოხდა ეს ფაქტი. თავიდან ვერ მივხვდით, მეგონა, წინიდან გვესროლეს რამე, სამწუხაროდ, ახლა შევამჩნიე, რომ გადაიყვანეს საკაცით სამი ადამიანი.

როგორც ჩანს, მოქალაქეებიც დაზარალდნენ, მანქანის უკანა ნაწილი მთლიანად მოგლეჯილია, ვფიქრობ, ასაფეთექებელი ჩადებული იყო უკანა ნაწილში. ვფიქრობ, უკან მოჰყვებოდა ის, ვინც ასაფეთქებლად დისტანციურ პულტს დააჭირა, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

## „ივანიშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა“

გვ.4



გია ხუხაშვილი: „ოცნებამ“ უნდა ილოცოს, რომ მათმა კამპანიამ შედეგი არ გამოიღოს“

ISSN 1987-9385



## ეკა გიგაური: „ეგზიტპოლებს ნუ დაუჯერებთ!“

გვ.2

№20 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატის ჯემალ გახოკიძის მხარდაჭერას ითხოვენ აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები და დევნილები გვ.14

# ფეხბედნიერი ყოფილიყავ „ბუმბერაზო“ ქარის გენერატორო საქართველოსთვის

გვ.5







კახი კალაძე



არჩილ ზედგენიძე



მიშა ჩაჩხუნაშვილი



გურამ ქუთელია



ბადრი ჩხაიძე



გია ცუცხაშვილი



სიმონ ბარამიძე



იაშა ხარაიშვილი



თამარ აიდურაძე მატის სენიჩარი დიმიტრი ოცხელი

## მ ა დ ლ ო ბ ა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ეკა გიგაური: „ეგზიტპოლებს ნუ დაუჯერებთ!“

ნონა ცაბაძე



**„საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნო ფონს აფასებს.**

***— ეკა, სულ რაღაც ოთხი დღე რჩება არჩევნებამდე, როგორია თქვენი ორგანიზაციის შეფასებები წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით? თუ გხვდებათ კანონდარღვევები და ყველაზე მეტად რას გამოყოფდით?***

— წინასაარჩევნო გარემო, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს, ბევრად გაუმჯობესებულია, თუმცა ჩვენ წინაშე დღეს არის კონკრეტული გამოწვევები.

***— უფრო კონკრეტულად?***

— მაგალითად, ყველაზე დიდ გამოწვევას დავუკავშირებდი ამ ფარული ჩანაწერების გავრცელებას. ის, რაც ამ პერიოდში ხდება, არასასიამოვნოა. ზოგ შემთხვევაში ეს ჩანაწერები კონკრეტული პოლიტიკური ოპონენტების და ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა.

მეორე არის ის დაპირისპირებები, რაც ბოლო პერიოდში ხდება. მე არ ვიტყოდი, რომ მათი რიცხვი დიდია, მაგრამ რამდენიმე დაპირისპირების შედეგად, კონკრეტული ადამიანები დაზარალდნენ. ეს პრობლემაა.

***— რამდენად აგრესიული ფონია?***

— სწორედ ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. სამწუხაროდ, ყველანი კარგად ვხედავთ, რომ მთელი ეს წინასაარჩევნო პერიოდი მიმდინარეობს პარტიების წარმომადგენელთა ბრალდებების ფონზე და ძალიან დიდია ის აგრესია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ პარტიებს შორის დამოკიდებულებაში. აქედან გამომდინარე, მათ შორის არსებული აგრესია არა თემატური, არამედ ურთიერთბრალდებებზეა დამყარებული.

***— წინა წლებთან შედარებით სხვაობა არ არის?***

— თუ ჩვენ ამ არჩევნებს შევადარებთ წინა წლების წინასაარჩევნო კამპანიას, ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი მიმართულებით არის გაუმჯობესება. დღეს მედია ნამდვილად აძლევს საშუალებას პოლიტიკურ პარტიებს, რომ ეფექტური კომუნიკაცია აწარმოონ ამომრჩეველთან. ყველა ტელევიზიას აქვს დებატების ფორმატი. მათ შორის ეს ფორმატები ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამული მიმართულებების წარდგენას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს ჩვენ არ გვქონდა 2012 წელს. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია დამოუკიდებელი უწყების მოქმედება.

***— რომელ უწყებას გულისხმობთ?***

— თუნდაც შევხედოთ აუდიტის სამსახურს. რამდენიმე ხნის წინ მათ დააჯარიმეს, სულ ცოტა, ხუთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, მათ შორის მმართველი პარტიის. ასეთი განვითარება ჩვენ ადრე არ გვქონია და ძალიან ხშირად ეს ინსტიტუტები გამოიყენებოდა მმართველი პარტიის ხელში იმისთვის, რომ დაეჩაგრათ ოპოზიცია.

ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს წინსვლა.

იგივეა ცესკოსთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მაინც გვაქვს გარკვეული გულისტკივილები, ცესკო უფრო აქტიური უნდა იყოს, როცა საქმე ეხება კონკრეტულ დარღვევებს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ცესკო გადახრილია ერთი რომელიმე პარტიის მხარეს და ვიღაცის ინტერესებს ატარებს, რაც ადრე ნამდვილად იყო.

***— თუმც ოპონენტები სულ აკრიტიკებენ ხელისუფლებას არსებული გარემოს გამო.***

— არა, რაც კარგია და რაშიც წინსვლაა, ის აუცილებლად უნდ დავინახოთ. შევხედოთ, როგორ მიმდინარეობს კამპანია, პოლიტიკური პარტიები აქტიურად ხვდებიან ამომრჩეველს და ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებების დარღვევის ბევრ ფაქტს არ ჰქონია ადგილი. როდესაც ზეწოლაზე საუბრობენ პარტიები, არც ამას ჰქონია მასობრივი ხასიათი.

***— ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე საუბრობს აქტიურად ოპოზიცია, ამ თვალსაზრისით რა ხდება?***

— ჩვენ ამ პროცესსაც აქტიურად ვაკვირდებით და ამ კუთხითაც ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო იმ მანკიერ პრაქტიკასთან, რომელიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. ძალიან რთულია ხოლმე, გაავლო ზღვარი სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ პრეზენტაციასა და პარტიის მიღწევების პრეზენტაციას შორის. ბოლო პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი პროექტი დაიწყო, ეს იყო მთავრობის პროექტები, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, არის უფრო მეტი რეკლამა სახელმწიფო უწყებების. მიზანშეწონილი იქნება, ეს რეკლამები არ იყოს წინასაარჩევნო პერიოდში, რადგან ხალხი ამას აღიქვამს არა როგორც მთავრობის რეკლამას, არამედ როგორც პარტიის რეკლამას.

***— ეს სერიოზული კანონდარღვევაა?***

— არა, ეს არ არის კანონის დარღვევა. ბიუჯეტის დაგეგმვა, იგივე სოციალური პროგრამების დაგეგმვა წინასწარ ხდება, ცხადია, მთავრობამ ეს პროცესი არჩევნების თარიღს დაამთხვია, თუმც ეს კანონდარღვევაში არ ეთვლებათ.

***— ყველაზე ცუდი ტენდენცია რა არის?***

— ყველაზე ცუდი დაპირისპირების ფაქტებია, არაადეკვატური განცხადებები პოლიტიკოსების მხრიდან, ეს ურთიერთბრალდებები და ეს ყველაზე ცუდად მათ მხარდამჭერებზე მოქმედებს. წესით, არავის უნდა უნდოდეს, რომ ქვეყანაში ვითარება დაიძაბოს.

***— ექსპერტებისგან სულ გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხე არსებობს, რომ პროცესები დაიძაბება. რამდენად ხედავთ ამის რისკს?***

— დღევანდელი გადმოსახედიდან მე ვიტყოდი, რომ ჩვენ ამას არ ველოდებით. თუმცა ის განცხადებები, რაც ტრიალებს, რომ ვიღაცა აპირებს დესტაბილიზაციას და ასე შემდეგ, ნამდვილად არ არის სასიამოვნო მოსასმენი მოქალაქეებისთვის.

***— და თუკი აპირებს?***

— მე არ ვიცი, აქვთ თუ არა საგამოძიებო ორგანოებს კონკრეტული მტკიცებულებები აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ მართლა არსებობს ასეთი ფაქტები, თუ მართლა აპირებს კონკრეტული ძალა დესტაბილიზაციას, ამ ჯგუფების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. ჩვენთვის მთავარია, ამას აკეთებდეს სამართალდამცავი ორგანო და არ ხდებოდეს მოსახლეობის დაძაბვა, არ ხდებოდეს ფარული ჩანაწერების გავრცელება.

***— ანუ არ უნდა მომხდარიყო ამის აჟიტირება და ფარულად უნდა წარმართულიყო გამოძიება?***

— რა თქმა უნდა! თუ მსგავს ფაქტებს აქვს ადგილი, სწორედ ეს არის საგამოძიებო უწყებების დანიშნულება, რომ ეს აღკვეთონ და გამოიძიონ.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ ჩანაწერების გავრცელებასთან კავშირი არ აქვს. ჩვენ მოვისმინეთ ნიკა გვარამიას განცხადება, რომ მან თავად ჩაიწერა მოსამართლესთან საუბარი, თუმცა ეს ვიღაცამ გაუვრცელა. არის საუბარი იმაზეც, რომ ამ ყველაფერს აკეთებს ის ძალა, ვისაც დღეს სიტუაციის დაძაბვა უნდა. ამას არ უშვებთ?***

— კი, ესეც შეიძლება ხდებოდეს, რა თქმა უნდა, ამას ვერ გამორიცხავ. თუმცა მთავარი პასუხი ამ ბრალდებებზე მთავრობის მხრიდან არის ის, რომ ისინი გამოიძიებენ ეფექტურად. არა მხოლოდ ამ ფაქტებს, არამედ ადრე მომხდარ ფაქტებსაც. რატომ გაჩნდა საზოგადოებაში კითხვები, რომ ამ ყველაფრის უკან თავად სპეცსამსახურები დგანან? იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ფაქტი არ იქნა გამოძიებული.

***— ფიქრობთ, რომ მათი ხელი ურევია?***

— ჩვენ ვიცით, რომ უმეტესობა ძველი ხელისუფლების კადრია დარჩენილი. ძველი მთავრობიდან გადმოყოლილი პრობლემატური საკითხებიც აუცილებლად უნდა გამოიძიონ. ამ შემთხვევაში ჩვენი კამპანია არავის ხელს არ აფარებს. ყველა კანონდამრღვევი უნდა იქნას შესაბამისად დასჯილი. ეს იქნება ყველაზე ადეკვატური პასუხი ხელისუფლების მხრიდან ასეთ ბრალდებებზე. თუმცა, როდესაც ჩვენ შედეგს ვერ ვხედავთ, ცხადია, კითხვები გვიჩნდება ამასთან დაკავშირებით!

***— დღეს ოპოზიციური პარტიების უმეტესობისგან გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს. რამდენად ელოდებით მსგავს შემთხვევებს, რამდენად სჭირდება დღეს ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება?***

— ყველაზე კარგი ტესტი არის არჩევნების დღე და ოფიციალური საარჩევნო შედეგები, რასაც დადებს ცესკო. ნამდვილად არ გვაქვს იმის მოლოდინი, რომ არჩევნები გაყალბდება. თუმცა არ არის გამორიცხული, სიტუაცია შეიცვალოს, არჩევნებამდე ჯერ კიდევ ოთხი დღეა. მასობრივად გაყალბების ორგანიზება არის შესაძლებელი, როდესაც მედია სივრცე არის დახურული. დღეს ჩვენ იმდენად ღია გარემო გვაქვს, რომ ასეთი ინფორმაციები ვერ დაიმალება.

***— ბოლო დღეებში წამოვიდა ტენდენცია ეგზიტპოლების უნდობლობასთან დაკავშირებით.***

— მე მოქალაქეებს ვეტყოდი, რომ არც ერთი ეგზიტპოლის შედეგებს არ დაუჯერონ და დაელოდონ ცესკოს ოფიციალურ მონაცემებს. მე მიმაჩნია, რომ მედიამ უარი უნდა თქვას ეგზიტპოლის ჩატარებაზე. ყველა დაელოდოს ცესკოს ოფიციალურ მონაცემებს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ეს ეგზიტპოლების მონაცემები პოლიტიკური პარტიების მიერ იქნება გამოყენებული დესტაბილიზაციის მცდელობისა და სიტუაციის დაძაბვისთვის.

***— ამის შესაძლებლობა არსებობს?***

— არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამოყენებული იქნას, იმდენად ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი. ყველა დაელოდოს ოფიციალურ მონაცემებს, ეგზიტპოლი არ არის ოფიციალური შედეგები არჩევნებისა. საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ცესკო.

***— რამდენად აქვს ნაციონალურ მოძრაობას იმის ბერკეტი, რომ სიტუაცია დაძაბოს?***

— ნებისმიერ პარტიას, რომელსაც ჰყავს მხარდამჭერი, შეუძლია, კონკრეტული ქმედებები დაგეგმოს. მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ვინმეს უნდა დესტაბილიზაცია ამ ქვეყანაში. იმიტომ, რომ ეს იქნება ერთიანად დამღუპველი, ეს შეეხება ყველას, ოპოზიციასაც და პოზიციასაც. არ მინდა ვიფიქრო, რომ ვინმეს ეს ყველაფერი უნდოდეს. თუმცა აქ მიდის პოლიტიკური ბრძოლა და ყველას უნდა, მიიღოს მაქსიმალური ამ არჩევნების შემდეგ. ყველამ უნდა იმოქმედოს კანონის ფარგლებში!

# მამუკა ახვლედიანი: „არა მარტო გვარამიას, შევხვედრივარ ბურჭულაძეს, ივანიშვილს, ღარიბაშვილს“



თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მხრიდან მისთვის კონკრეტული თანხის შეთავაზებას უარყოფს.

როგორც ახვლედიანმა 4 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შესაძლოა ვინმეს შეეთავაზებინა უსაფრთხოება და გვერდში დგომა, მაგრამ ამის შემდეგ საუბარი წინ არ წასულა.

ის ვერ იხსენებს და არ ადასტურებს საუბარს, რომ მისთვის კონკრეტული თანხის ან წილის შეთავაზება მოხდა.

— მსგავსი ტექსტი, სადაც საუბარი იყო კონკრეტულ ციფრებზე, ან რაიმე შემოთავაზებაზე, მე არ მქონია. არ ყოფილა მსგავსი საუბარი, — განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ადასტურებს, რომ არაერთხელ შეხვედრია ნიკა გვარამიას სხვადასხვა პერიოდებში. მისივე თქმით, შეხვედრები გაუმართავს არამარტო გვარამიასთან, არამედ პოლიტიკოსებთანაც.

— არამარტო ნიკა გვარამიას, იგივე წარმატებით შევხვედრივარ პაატა ბურჭულაძეს, ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი ღარიბაშვილს, ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს ერთად და კიდევ არაერთ პოლიტიკოსს. თანაც მისაუბრია და, ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, ჩამიბარებია ანგარიში სასამართლოს ძალიან ბევრ პრობლემურ თემაზე.

ვცდილობ, პოლიტიკისგან ვიყო დისტანცირებული, ვსაუბრობ მხოლოდ სასამართლოში მიმდინარე არაერთ პრობლემაზე, კრიზისზე და იმ სიტუაციაზე, რაც ხდება სასამართლოში. აუცილებალდ მოვა იმის დღე, როცა ძალიან ბევრ კითხვას და საკითხს გაეცემა პასუხი, — განაცხადა მამუკა ახვლედიანმა, თუმცა განმარტა, რომ ვერ იხსენებს, რა პერიოდში შედგა შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან და ეკავა თუ არა იმ დროისთვის მას პრემიერ-მინისტრის პოსტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით, ის მზად არის, ნებისმიერ პოლიტიკოსს შეხვდეს და ითანამშრომლოს მათთან, რომ ქვეყანაში იყოს სამართლიანი სასამართლო.

— აბსურდულია განცხადებები წილების თუ სხვა სახის შემოთავაზებებზე. ახლა კიდევ უფრო ბევრი გვარი გავაჟღერე და შეიძლება ვინმეს სხვა მოსაზრებები გაუჩნდეს, ვის რა შემოთავაზება ჰქონდა ჩემთან, — განაცხადა მამუკა ახვლედიანმა და აქვე დასძინა, რომ მისი მხრიდან ნებისმიერ შეხვედრაზე საუბარი იყო მხოლოდ სასამართლოში არსებულ პრობლემებზე.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი ოქრუაშვილისთვის ცეცხლის გახსნაში ბრალდებული პოლიციას ჩაბარდა



ირაკლი ოქრუაშვილისთვის ცეცხლის გახსნაში ბრალდებული პოლიციას ჩაბარდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ირაკლი ოქრუაშვილისა და მისი თანხმლები პირებისთვის ცეცხლის გახსნაში ბრალდებულის დაკავებაზე ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც შს სამინისტროს ინფორმაციაშია ნათქვამი, შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1963 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე ინდიაშვილი გორში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მან მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გორში, რკინიგზის დასახლებაში, გორის მაჟორიტარობის კანდიდატის, ირაკლი ოქრუაშვილის მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრის დროს, მოქალაქეების მიმართულებით ცეცხლი გახსნა, 2 პირი დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ბრალდებული შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში გამოცხადდა, სადაც ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-109-ე და 236-ე მუხლებით).

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნება“ და ნაციონალები ცდილობენ დანარჩენები თამაშგარეში დატოვონ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ორპარტიულ ჭრილში არჩევნების ჩატარება და ერთმანეთის პირისპირ დარჩენა „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც აწყობს.**

***– ბატონო ვახტანგ, არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა და წინასაარჩევნო რეიტინგების ომი გრძელდება ორპარტიას შორის. თუმცა, სოციოლოგიური კვლევის გაყალბებაში ედება ბრალი რუსთავი-2-ს. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ის ვარაუდი, რომ ეგზიტპოლები იქნება ერთგვარი წინაპირობა დესტაბილიზაციის, რომელზეც საუბრობს ხელისუფლება?***

– ჩემთვის გასაკვირი არ არის, რომ რუსთავი-2-მა სოციოლოგიური კვლევები გააყალბა. მე ადრე ვთქვი, რომ ისე მიდის ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაკვეთილი კვლევებით, რომ ან ტოლობის ნიშანს დასვამს „ქართულ ოცნებასთან“, ან წინ გაიჭრება-თქო. ამდენად, მე არ გამკვირვებია ის მონაცემები, რაც დაგვიდეს. ყველაფერი გასაგები და ლოგიკურია, ეს რეიტინგი ან უნდა გათანაბრებულიყო, ან ნაციონალური მოძრაობა წინ გასულიყო. მე ცოტა გამიკვირდა, მარეგულირებელმა კომისიამ რა უნდა მოიმოქმედოს ამ საქმეში, რამდენადაც ვიცი, ისინიც აპირებენ გარკვეულ პროცესში ჩართვას. არ ვიცი, სამართლებრივად რა მექანიზმები აქვთ. საზოგადოება საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული თუ ვინ, როგორ მოქმედებს და სად არის ტყუილი და სად – სიმართლე.

რაც შეეხება იმას, გამოიყენებენ თუ არა მას რევოლუციური განწყობებისთვის, არ მგონია ასეთი ხერხებით სერიოზული დესტაბილიზაციის მოწყობა ვინმემ შეძლოს ქვეყანაში. ამ შემთხვევაში შანსი, რომ არასტაბილური გარემო შეიქმნას ქვეყანაში, ეს ხელს უნდა აძლევდეს თავად ხელისუფლებასაც ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი არასტაბილური და რევოლუციური გარემოს შექმნა, მე თითქმის შეუძლებელი მგონია. თუ ორივე პოლიტიკური ძალა ცდილობს, რომ არასტაბილური გარემო შექმნას, მაშინ ეს მოხდება, მაგრამ ხელისუფლებას თუ ეს არ უნდა, რომც არ იმოქმედოს და ნეიტრალურ პოზიციაში იყოს, ნაციონალურ მოძრაობას მოსახლეობაში არ აქვს იმის რესურსი, რომ მან შეძლოს რევოლუციის მოწყობა. თუ ხელისუფლება ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს და ნაციონალურ მოძრაობას არ აყვება, მაშინ ნაციონალური მოძრაობა უარეს შედეგს მიიღებს, ვიდრე დღეს აქვს.

***– როგორ?***

– ნაციონალურ მოძრაობას რეალურად ხალხში არავითარი დასაყრდენი არ აქვს და ამიტომ მათი ყველა გეგმა განწირულია. მე უფრო სხვა რამ მგონია.

***– რაზე მიანიშნებთ?***

– ჩემი ვარაუდით, ხელისუფლებასაც და ნაციონალურ მოძრაობასაც აწყობთ ასეთი ვითარება და ამით ორივე ცდილობს ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენას. ორივე ძალა ცდილობს, ერთმანეთი მტრად წარმოაჩინოს და აიძულონ ამომრჩეველი, რომ აუცილებლად მივიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს ან ერთის, ან მეორის სასარგებლოდ. შესაბამისად ორივე ძალა ცდილობს დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი თამაშგარედ დატოვოს და თვითონ იყვნენ, ორი პარტია პარლამენტში წარმოდგენილი.

***– როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ვეკითხები, თუ რამდენად აწყობთ მათ ორპარტიულ ჭრილში არჩევნების გადატანა, მათი პასუხია, რომ დანარჩენები პასიურები არიან. შეიძლება ეს იყოს არგუმენტი?***

– არა მგონია, რომ პასიურები იყვნენ, საკმაოდ აქტიურები არიან დანარჩენი ოპოზიციის წარმომადგენლებიც. მედია სივრცეში საკმაოდ აქტიური არის დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი. ყოველ შემთხვევაში, 7-8 პარტია მაინც, ის პარტიები, რომელთაც აქვთ 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი. კიდევ ვინ გადალახავს ბარიერს, ამაზეა საუბარი. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ცდილობს 77 მანდატი, რომელიც არის პროპორციული სიით, გაიყოს მხოლოდ ორ პარტიაზე და არა დანარჩენებზე.

***– და რამდენად აწყობს „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად შესვლა? რამდენად დააკომპლექტებს მთავრობას? ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება „ნაციონალებმა“ არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დააყენონ?***

– „ქართულ ოცნებას“ ორჯერ მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას. თუ ორპარტიაზე გაიყოფა ხმები, მაშინ დაახლოებით 26 მანდატი ექნება ნაციონალურ მოძრაობას, 50 კი „ქართულ ოცნებას“.

***– „ქართული ოცნება“ ამ შემთხვევაში აკომპლექტებს მთავრობას?***

– რა თქმა უნდა, რადგან ამისთვის სულ რაღაც 16 მაჟორიტარის მანდატი დასჭირდება, რომ მარტო თავად დააკომპლექტოს. „ქართული ოცნება“, ჩემი ვარაუდით, 40 რაიონს თავისუფლად მოიგებს. ამდენად, სწორედ ის 90 მანდატი გამოდის, რომელზეც საუბრობს ბიძინა ივანიშვილი. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მას რამდენად აწყობს ეს? გეტყვით, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ 26 მანდატი რომ აიღოს, ამას კიდევ რამდენიმე მაჟორიტარი დაემატება, ამაზე უკეთესი შანსი დღეს მათ ნამდვილად არა აქვთ, თუ, რა თქმა უნდა, რეალობას ობიექტურად შევაფასებთ და არ გავაყალბებთ.

***– და ეს რამდენად აწყობს ნაციონალურ მოძრაობას?***

– ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ნაციონალური მოძრაობა რჩება ერთადერთ საპარლამენტო ოპოზიციად და იწყებს მზადებას 2020 წლის არჩევნებისთვის. ამაზე უკეთესი სცენარი მათ, უბრალოდ, არ აქვთ. რაც არ უნდა გვითხრან, გამორიცხულია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ უმრავლესობა მიიღოს. ეს შეუძლებელია. ამდენად, რატომ უნდა წავიდნენ სიტუაციის დესტაბილიზაციაზე, როდესაც ყველაფერი იციან, იციან, როგორია ხალხის განწყობა მათდამი, როგორია მხარდაჭერა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მათ არჩევნები არ იციან, ან ანალიზს ვერ აკეთებენ რა? და როგორ? ძალიან ცდება. ყველაფერს გააანალიზებენ და დაალაგებენ, რომ ეს მათთვის ყველაზე მომგებიანი სცენარია. სხვა საკითხია სახელმწიფოსთვის, ქვეყნისთვის რამდენად მომგებიანია. ამაზე ბევრი ფიქრით კი, ჩვენთან მაინცდამაინც თავს არ იკლავენ.



# მირიან მირიანაშვილი: „პრეზიდენტმა შეიძლება ძალიან ცუდი როლი შეასრულოს მოსალოდნელ მოვლენებში“

მარიამ მჭედლიშვილი



## „კვირიკაშვილის გარემოცვასა და ნაცმოძრაობას შორის გაშიფრული გარიგების შემდეგ გეგმები შეიცვალა“

**მოსალოდნელი დესტაბილიზაციის თემაზე „ახალი თაობა" ესაუბრა საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.**

**მირიან მირიანაშვილი:**

– მას შემდეგ, რაც გამჟღავნდა გარიგება გიორგი კვირიკაშვილის გარემოცვასა და ნაცმოძრაობის ლიდერებს შორის, დღის წესრიგში ისევ დადგა არეულობა და რევოლუციური სცენარი.

***– „ქართული ოცნების“ და ნაცმოძრაობის ჯგუფებს შორის მიღწეული გარიგება მომავალ პარლამენტში ადგილების გადანაწილების თაობაზე ჩაიშალა?***

– მათი გარიგების მთავარი ნაწილი ბურჭულაძისა და მისი ორგანიზაციის პოლიტიკაში შემოსვლა იყო. პაატა ბურჭულაძის გაერთიანებას უნდა აეღო ხმების 20%-მდე. ახლა ამაზე საუბარიც ზედმეტია.

***– ბურჭულაძე რეგიონებში ხალხს არწმუნებს, რომ მის ბლოკს ფინანსური არხები გადაუკეტეს და უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს.***

– მაგით ის ველარაფერს შეცვლის. ბურჭულაძეზე საზოგადოებას თვალი აეხილა. ბევრმა გაიგო, რომ ის კავშირშია ნაციონალურ მოძრაობასთან. ადრე კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილს არწმუნებდა, რომ ბურჭულაძის გაერთიანებაში მოხვდებოდნენ ნაციონალებიდან წამოსული პირები. ეს იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ მომავალ პარლამენტში ბურჭულაძის პარტია თუ ბლოკი „ქართული ოცნების“ მოკავშირე იქნებოდა. ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილს თვალი აეხილა. გამოაშკარავდა, რომ ეს გეგმა თავიდანვე კავშირში იყო სააკაშვილთან. ბიძინა ივანიშვილს ყველაფერს დამახინჯებულად უხსნიდნენ. ამ მეგატყუილმა ყველაფერი შეცვალა.

***– ანუ იგი დარწმუნდა, რომ ბურჭულაძე „ოცნების“ მოწინააღმდეგეა?***

– მანაც და საზოგადოებამაც ნათლად დაინახა, რომ ბურჭულაძე ნაციონალებთანაა შეკრული. გარიგების თანახმად, მომავალ პარლამენტში ბურჭულაძეს უნდა ეთანამშრომლა ნაცმოძრაობასთან. მათ ერთად უმცირესობაში უნდა დაეტოვებინათ „ოცნება“. ეს გეგმა გაიშიფრა. ბურჭულაძის რეიტინგი დაეცა. მისმა ძალამ შეიძლება საარჩევნო ბარიერიც ვერ გადალახოს.

***– დესტაბილიზაციისა და რევოლუციური სცენარის თემას დავუბრუნდეთ.***

– ხავერდოვანი გადატრიალების გეგმის ჩავარდნის შემდეგ ისევ აქტუალური გახდა პოლიტიკური არეულობის მოწყობა და რევოლუციური სცენარი.

***– ადრე ამბობდით, სააკაშვილს საქართველოში დაბრუნების ნებას ამერიკელები არ აძლევენო..***

– სააკაშვილს ნებართვა არც ახლა აქვს. თუ მასშტაბური მოვლენები არ განვითარდა, ის შეიძლება საზღვართან გამოჩნდეს და ამით დაკმაყოფილდეს. საქართველოში დიდი არეულობის პროვოცირების შემთხვევაში სააკაშვილი ასეთ ნებართვას მიიღებს. ყველაზე დიდი ხიფათი სწორედ მაშინაა მოსალოდნელი.

***– არეულობის პროვოცირებაში სხვა პარტიებიც მიიღებენ მონაწილეობას?***

– ეს პატარა და სუსტი პარტიები ბევრს საუბრობენ, მაგრამ მათ არაფრის ორგანიზება და არეულობის მოწყობა არ შეუძლიათ. დაზუსტებით ვიცი, რომ ზოგიერთი მათგანი აშანტაჟებს ბიძინა ივანიშვილს და უცხოური საელჩოების შუამავლობითაც სარგებლობს. ეს პარტიები იმუქრებიან, რომ თუ პარლამენტში მოსახვედრად ხელშეწყობა არ ექნათ, არეულობაში ჩაერთვებიან. რეალურად, ისინი ვერანაირ საშიშროებას ვერ შექმნიან. ბიძინა ივანიშვილი მაშინაც შეცდა, როცა პოლიტიკურად მკვდარი და სუსტი პარტიები, ასევე ინდივიდები გააცოცხლა და პარლამენტში შეიყვანა. მაგალითად, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები.

***– ბიძინა ივანიშვილმა თავისუფალ დემოკრატებს ახლაც მაღალი შეფასება მისცა..***

– არ ვიცი, არის თუ არა ეს ვინმეს წყალობის შედეგი. საერთოდ, არც ერთი სუსტი პარტიის მუქარა დასაჯერებელი არაა. პოლიტიკური ცვედანების შანტაჟი არ არის საშიში.

***– საშიშია ნაციონალების პროვოკაციები?***

– ქვეყნისათვის ძალიან საშიშია, თუ განვითარდა სცენარი პრეზიდენტის მონაწილეობით.

***– გიორგი მარგველაშვილი შეიძლება ჩაებას რაიმე სახიფათო სცენარში?***

– ამის შესახებ სააკაშვილი გარიგებებს აწარმოებს და მარგველაშვილს დიდ ფულს სთავაზობს. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი პრეზიდენტს უფლებას აძლევს, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა მასობრივი არეულობის შემთხვევაში. 48 საათის განმავლობაში პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს. არჩევნების შემდეგ ახალი პარლამენტი დაახლოებით სამი კვირის მანძილზე ვერ შეიკრიბება მოსალოდნელი მეორე ტურების გამო. იქმნება პოლიტიკური ვაკუუმი. ამით ისარგებლებს სააკაშვილი და აუცილებლად ჩამოვა საქართველოში. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის აუცილებელია მასობრივი მასშტაბური არეულობა. მცირე დესტაბილიზაციის შემთხვევაში ეს ვერ მოხდება. მასშტაბური დესტაბილიზაციისას სააკაშვილი უცხოელ პარტნიორებსაც დაარწმუნებს, რომ საქართველოში საგანგებო მდგომარეობაა და მან უნდა გადაარჩინოს ქვეყანა. ყველაზე უარესი შეიძლება ამის შემდეგ მოხდეს.

***– რა უნდა მოხდეს? სამოქალაქო ომი?***

– რუსეთი საქართველოში მოაწყოს იმას, რასაც ახლა სირიაში აკეთებს. უბედურება ისაა, რომ საქართველოში რუსეთი ამას უფრო მასშტაბურად და ნებართვების თხოვნის გარეშე მოახერხებს. რუსეთთან ხისტი პოზიციის მომხრე ვარ, მაგრამ ერთი პოლიტიკური ჯგუფის გამო რუსეთთან ომი არავის არ უნდა გვინდოდეს. სააკაშვილის გამოჩენის შემთხვევაში რუსეთი აუცილებლად დაიწყებს აგრესიას. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, მთელი საზოგადოება უნდა იყოს ფხიზლად. არ უნდა დავუშვათ მასობრივი არეულობა, რითიც ისარგებლებს სააკაშვილი. არჩევნებზე უნდა მივიდეთ. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმის სასარგებლოდ, ვინც საფრთხეს არ მოიტანს. თუ რუსეთთან ომი დაიწყო, ეკონომიკური პრობლემები დაგვავიწყდება. საფრთხის თავიდან აცილება ივანიშვილს და მის ძალას შეუძლია. სააკაშვილს უკრაინაში აღარ ედგომება. თუ ის იქ პარტიას ან ტელევიზიას შექმნის, იაცენიუკის ფრაქცია უმაღლეს რადაში უმრავლესობას დატოვებს. სააკაშვილის საქმიანობა შეუთავსებელია უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ სააკაშვილმა საქართველო დააქციოს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ივანიშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა“

## გია ხუხაშვილი: „ოცნებამ“ უნდა ილოცოს, რომ მათმა კამპანიამ შედეგი არ გამოიღოს“

შორენა მარსაგიშვილი

**აღმოჩნდება თუ არა ივანიშვილის შეცდომა „ქართული ოცნებისთვის" საბედისწერო, რა გეგმები აქვს ნაციონალურ მოძრაობას, ვინ და რატომ გადაიმტერა ამომრჩევლის 60%? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**



***– 3 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა ახალი პროგნოზი გააკეთა, აქამდე თუ პარლამენტში მარტო ნაციონალების და „ოცნების“ მოხვედრას წინასწარმეტყველებდა, ახლა განაცხადა, რომ საკანონმდებლო ორგანოში 5-6 პარტია მოხვდება. რას უკავშირებთ მის შეცვლილ პროგნოზს?***

– ეს არის პოლიტიკური გზავნილები და ამას, როგორც სურვილებს, ისე უნდა შევხედოთ და არა – როგორც რეალობას. ყველა პარტია, ისეთებიც კი, პულსი რომ არ ესინჯება, ამბობს, მე მოვდივარ ხელისუფლებაში.

რაც შეეხება ივანიშვილს პროგნოზს, მან თავის ბოლო გამოსვლაში მთლიანად შეცვალა წინა გამოსვლების ვექტორი. აქამდე სულ ამბობდა, უალტერნატივო ძალა ვართ, სხვა ყველა პარტია არარაობაა და საფრთხე მოდის ნაციონალებიდან. ახლა ილაპარაკა 5-6 პარტიის გასვლაზე და შეეცადა მეორე პოლუსიდან ჩაეხსნა ნაციონალური მოძრაობა.

ჩემი აზრით, ის, როგორც იქნა, მიხვდა თავის საარჩევნო კამპანიის შეცდომას. ორპოლუსიანობა, რაზეც იყო ორიენტირებული „ქართული ოცნების“ კამპანია, ძალიან სერიოზული საფრთხის შემცველია. მულტიპარტიული პარლამენტია ერთადერთი პრევენცია პოლიტიკური კრიზისისა, რომელიც აუცილებლად დადგება. ივანიშვილმა, როგორც ჩანს, გააცნობიერა ეს საფრთხე და თავისი რიტორიკა თავდაყირა დააყენა.

***– გამოიღებს მისი შეცვლილი რიტორიკა რაიმე შედეგს?***

– მე ვფიქრობ, რომ დაგვიანებულია. მანქანა უკვე დაძრულია. ივანიშვილს ჯადოსნური ჯოხი არ აქვს, რომ ერთი ხელის აქნევით გადაფაროს ყველაფერი, რასაც აქამდე იძახდა და აკეთებდა. შესაბამისად, შედეგიც არ დადგებოდა.

***– ცოტა ადრე რომ შეეცვალა რიტორიკა, შედეგი დადგებოდა?***

– მას ეს კონცეფცია თავიდანვე რომ განევითარებინა, მაშინ ნაკლებად სახიფათო პროცესი გველოდებოდა წინ. დღეს მთავარი პრობლემა გახლავთ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია ანუ გამაგრება. ორპოლუსიანობის შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ ლეგიტიმაციის მიღება ძალიან გაუჭირდება.

მათ სჭირდებათ მინიმუმ 2 პარტია, რომელიც „ოცნებას“ უპრობლემოდ შეჰყვება პარლამენტში და მოახდენს პროცესის ლეგალიზაციას. სხვანაირად კრიზისი გადაულახავ სახეს მიიღებს. სასურველი იყო, ივანიშვილს თავიდანვე ასე ელაპარაკა. ახლა აღარაფერი შეიცვლება.

***– გამოდის, რომ პოლიტიკური ველი ისევ ორპოლუსიანი იქნება.***

– ძნელი სათქმელია. ქვეყანაში ძალიან უცნაური მდგომარეობაა, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჯერ კიდევ კრიტიკულად მაღალია გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა.

3 ოქტომბრამდე ივანიშვილი ამ გადაუწყვეტელ ამომრჩეველს ეუბნებოდა, მე უნდა ამირჩიოთ, მესამე არჩევანის გაკეთება არ გაბედოთ, მე თუ არ მომცემთ ხმას, ნაციონალები დაბრუნდებიან და შეგჭამენო. ამას არ აკეთებდა მარტო ივანიშვილი. კვირიკაშვილის გარდა, მთელი „ოცნება“ ასეთი რიტორიკით გამოდიოდა.

***– კვირიკაშვილი არ ეთანხმებოდა ამ რიტორიკას?***

– ის მთლიანად აცდენილი იყო ამ კამპანიას და ცხოვრება მშვენიერიაო, გაიძახოდა. დანარჩენები იყვნენ აგრესიულები. სულ შეთქმულებებზე, ფარულ ჩანაწერებზე საუბრობდნენ. კრიზისში ჩვენ ყველა ვარიანტში შევალთ. ახლა მთავარი ისაა, რა სახეს მიიღებს კრიზისი – გადაულახავს თუ გადალახვადს. კრიზისის ფორმირებას განაპირობებს ორი განსხვავებული ეგზიტპოლის შედეგიც. ნაციონალებსაც და ხელისუფლებასაც დაკვეთილი აქვთ ეგზიტპოლები და ახლავე ცხადია, რომ შედეგი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული იქნება.

ერთადერთი, რაც ახლა „ქართულ ოცნებას“ შეუძლია, ისაა, რომ უნდა ილოცონ, რათა მათმა კამპანიამ არ გამოიღოს შედეგი და შუა მართლა არ გაიკრიფოს.

***– ზემოთ აღნიშნეთ რომ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ნიშანს ელოდება და რა შეიძლება იყოს ეს ნიშანი?***

– ვერ გეტყვით. ისეთი მყიფე სიტუაციაა, რომ ნიშანი ყველაფერი შეიძლება იყოს. ძალიან მარტივი, სულ მცირე ბიძგი სჭირდება ამ ამომრჩეველს, რომ რაიმე მიმართულებით გადაიხაროს. ეს არის ის ხალხი, რომელსაც არც „ქართული ოცნების“ და არც ნაციონალების არჩევა არ უნდა. ამასთან, პოლიტიკურ ელიტაშიც ვერ პოულობენ ისეთ ძალას, რომელსაც ხმას მისცემენ. დიდი ალბათობაა, რომ ისინი სახლში დარჩებიან, რაც ძალიან სახიფათო იქნება.

***– სახიფათო რატომ იქნება?***

– მათ სახლში დარჩენას პროცესი ისევ პოლიტიკური ველის ორპოლუსიანობისკენ მიჰყავს. კრიზისის რისკები მაღალ ნიშნულზე ადის. მე ვურჩევ, რომ წავიდნენ და რაღაც არჩევანი გააკეთონ.

***– და სულ ერთია, ვის მისცემენ ხმას?***

– სულ ერთია, ვის მისცემენ ხმას, მთავარია, წავიდნენ. კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ მულტიპარტიული პარლამენტია. ამას ივანიშვილი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მიხვდა. იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკური პარტნიორები შეეძინა, მათი განქიქებით იყო დაკავებული. ეს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს.

***– 5 ოქტომბერს ნაციონალები მართავენ აქციას. „ოცნებაში“ არეულობას ელოდებიან, თქვენ რას იტყვით ამაზე?***

– ამ აქციაში გასაკვირი და შემაშფოთებელი არაფერი არ არის. ეს კლასიკური მეთოდი გახლავთ. ოპოზიციურ პარტიას, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ძალაუფლებაზე, სჭირდება საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება. ნაციონალები სწორედ ამას აკეთებენ. თავის დროზე ჩვენც ასე ვაკეთებდით. მხარდამჭერების გამოყვანა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამართლებულია. ამით მომხრეებში| საბრძოლო განწყობის ამაღლება ხდება.

***– 2012 წელს „ოცნებას“ ეს კარგად გამოუვიდა. რას იზამს ნაციონალური მოძრაობა?***

– როდესაც რეჟიმს უპირისპირდები, იქ მობილიზაციაც კი არ გჭირდება. პროტესტი თავისთავად კრიტიკულ ზღვარს აჭარბებს. ადამიანები, რომლებიც იღლებიან შიშით, მოდიან აქციაზე. ჩვენც არ დაგვჭირვებია რაიმე განსაკუთრებული მობილიზაცია.

დღეს არ არის ასეთი ვითარება, ხელისუფლებაში ჩვენ აღარ გვყავს რეჟიმი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ შიშის ფონზე ხალხის მობილიზება უფრო ადვილია.

***– აქედან გამომდინარე ნაციონალებს მხარდამჭერების მობილიზება გაუჭირდება?***

– ამას 5 ოქტომბერს ვნახავთ. ხალხის მობილიზებაში მათ საკუთარი წარსულიც შეუშლის ხელს. მხარდამჭერების გამოსაყვანად ნაციონალებს მაქსიმალური ძალისხმევა დასჭირდებათ.

რას მოახერხებენ და როგორ მოახერხებენ, ამის დათვლა წინასწარ არ მინდა. როცა ხალხი გამოვა ქუჩაში, მისი რაოდენობა მაშინაც საკამათო იქნება. ერთი მხარე იტყვის, რომ 5.000 იყო, ხოლო მეორე მხარე იტყვის, რომ 50.000 იყო. ეს კინო ნანახი გვაქვს, დანარჩენს შევხედოთ.

***– მსგავსი ტიპის აქციის ჩატარებას სახელისუფლებო ძალაც აპირებდა. ბოლო მომენტში მათ გადაიფიქრეს ამის გაკეთება. ნაციონალები ამბობენ, რომ მათ შეეშინდათ. თქვენ რას ფიქრობთ?***

– მეც ვფიქრობ, რომ უარის მიზეზი შიშია. შიში იმისა, რომ სათანადო განწყობა არ იქნებოდა. ასეთი ტიპის აქციებზე რაოდენობას იმდენად არ აქვს მნიშვნელობა, რამდენიც ემოციურ მუხტს. მათ ამ აქციის ჩატარება ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე მოუწევდათ, რაც არაჯანსაღ სურათს შექმნიდა, რასაც რუსთავი 2 კიდევ უფრო დაამძიმებდა. ეს „ქართულ ოცნებას“ არ წაადგებოდა. ამ რისკების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ უარი თქვა აქციის გამართვაზე და სწორადაც მოიქცა.

***– ისევ ნაციონალების აქციას დავუბრუნდეთ. არის მოსალოდნელი რაიმე არეულობა? „ოცნებაში“ ამაზე ძალიან ბევრს საუბრობენ.***

– თუ ვინმეს არეულობის მოლოდინი რეალურად აქვს, ეს უკვე პარანოიაა, მაგრამ პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით გასაგებია ამის ძახილი. და მე კარგად მესმის, თუ რატომ არის ასეთი რიტორიკა.

***– ანუ იციან, რომ არაფერი ხდება და ტყუილად ყვირიან არეულობაზე?***

– თუ ნეგატიური ხერხით გინდა შედეგის მიღწევა, მაშინ ამომრჩეველი მუდმივად უნდა შეაშინო – მე თუ არ ამირჩევ, საშინელება მოხდება. „ოცნების“ ლიდერების ნაწილი სწორედ ამ მიზნით საუბრობს არეულობაზე, მაგრამ მათ რიგებში ბევრი ისეთია, რომელიც ყურებს აპარტყუნებს, რომ ამის მართლა სჯერა.

ნაციონალებს არეულობის მოსაწყობად რესურსი არ აქვთ. ის ხელისუფლებას პრობლემებს არჩევნების შემდეგ მაშინ შეუქმნის, თუ პარლამენტში მხოლოდ 2 ძალა გავა. შემდეგ ეს კრიზისი მრავალპოლუსიან სახეს მიიღებს. „ოცნებას“ პრობლემები პარტიების უმეტესობასთან შეექმნება. მათ გადაიმტერეს მოსახლეობის დიდი ნაწილი და სამოქალაქო სექტორიც. არც მათი მხრიდან უნდა ჰქონდეს მხარდაჭერის იმედი.

იმ პერიოდში, როცა ივანიშვილი ამტკიცებდა, რომ შუა უნდა გაკრეფილიყო, ამომრჩევლის 60%-ს შეურაცხყოფა მიაყენა. მათ მავნებლები უწოდა მხოლოდ იმის გამო, რომ მათთვის არც „ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა მისაღები არ არის.

„ოცნებამ“ უნდა ილოცოს, რომ მათმა კამპანიამ შედეგი არ გამოიღოს. თუ პარლამენტში მხოლოდ ორი ძალა გავა, ნაციონალები არ შევლენ პარლამენტში. ერთპარტიული პარლამენტი კი რა უნდა იყოს. ამის შემდეგ დაიწყება კრიზისი.

# „პაატა ბურჭულაძემ დეკემბერ-მაისში ნახევარ მილიონზე მეტი აიღო“

შორენა მარსაგიშვილი

**პაატა ბურჭულაძის მიმართ ყოველდღე ახალი პრეტენზიები ჩნდება. მისი თანამშრომლები ჩივიან, რომ ხელფასი არ აუღიათ. ამ დროს ირკვევა რომ თავად პაატა ბურჭულაძე საკმაოდ სოლიდურ ხელფასს ღებულობდა.**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

პარტიის „სახელმწიფო ხალხისათვის“ მცხეთა-მთიანეთის რაიონული ოფისის ყოფილი თავმჯდომარის გიორგი ლაფანაშვილის განცხადებით, მაშინ, როცა პარტიაში კრიზისი იყო, ბურჭულაძეს ხელფასის სახით 555.000 ლარი აქვს აღებული. ეს თანხა ბურჭულაძემ 6 თვეში გამოიმუშავა.

გაირკვა, რომ ბურჭულაძე ჯერ კიდევ მაშინ უწერდა საკუთარ თავს ხელფასს, სანამ მისი ფონდი პარტიად გარდაიქმნებოდა.

– ჯერ კიდევ ფონდის პერიოდში 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის მაისის ჩათვლით ფონდის ხელმძღვანელს პაატა ბურჭულაძეს მიღებული აქვს 555.000 ლარი. მათ შორის, აპრილში 187.00 ლარი ხელფასის სახით, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში გიორგი ლაფანაშვილმა.

მისი თქმით, ბურჭულაძე ამხელა ხელფასს იმ დროს იღებდა, როცა თანამშრომლებს 150 ლარის ოდენობის ხელფასი სანატრელი ჰქონდათ.

– საუბარია აგიტატორებზე, ხალხზე, რომლებიც შავ სამუშაოს ასრულებენ. ამ ადამიანებს ხელფასს არ აძლევდნენ, ეუბნებოდნენ კრიზისიაო, თავად ბურჭულაძე ამხელა ხელფასს იღებდა. ეს სირცხვილი და უსამართლობაა, – ამბობს ბურჭულაძის ყოფილი თანაპარტიელი.

აღსანიშნავია, რომ ბურჭულაძისთვის მხარდაჭერის გამოცხადება ლაფანაშვილს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ის დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე იყო.

მართალია ლაფანაშვილი ბურჭულაძის ქმედებებით იმედგაცრუებულია, მაგრამ თანამდებობის დაკარგვას არ ნანობს.

– „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველს იმედები ძალიან გაუცრუა და პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში გამოჩენა დადებით ამბად აღვიქვი. მის გარშემო თავიდან ძალიან კარგმა ხალხმა მოიყარა თავი. მთავარი ის იყო, რომ ეს ხალხი პოლიტიკაში არ იყო გასვრილი. პოლიტიკური წარსულით არც თავად ბურჭულაძე იყო დამძიმებული. ის მაშინ გავიცანი, როცა ევროპაში ვცხოვრობდი. მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

ისევე, როგორც ბევრ ადამიანს, მეც გამიჩნდა განცდა, რომ პაატა შეძლებდა ისეთი პარტიის გაკეთებას, რომელიც მესამე ძალა გახდებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე მის გუნდში გადასვლა. ამის გამო დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადამაყენეს. რაც ჩემთვის ტრაგედია არ არის. თანამდებობა მუდმივი არაა, – ამბობს ლაფანაშვილი.

მისი თქმით, ბურჭულაძის მიმართ პრეტენზიები მაშინ გაუჩნდა, როცა მან რამდენიმე პარტიასთან გაერთიანება გადაწყვიტა.

– ეს ბევრი ჩვენგანისთვის აღმოჩნდა მიუღებელი და პარტია უამრავმა ადამიანმა დატოვა, ამას დაემატა ხელფასების ამბავიც. შესაბამისად მე ვსვამ კითხვას – როგორ შეიძლება ვანდოთ ამ პარტიას ქვეყნის ბედი, მართვა-გამგეობა, რომელიც საფუძველშივე ატყუებს თავისივე წევრებს, აქტივისტებს და დიდი ალბათობით აწარმოებს ფინანსურ აფიორას პოლიტიკურ საბურველში შეფუთულს! ის ჯერ არაა ხელისუფლებაში და წარმოიდგინეთ, რა



მასშტაბებს მიიღებს ასეთი მეთოდები მაშინ, თუ იგი ხელისუფლებაში მოვა, – აღნიშნავს ყოფილი ბურჭულაძელი.

* * *

ყოფილი თანაგუნდელის ბრალდებებს თავად ბურჭულაძეც გამოეხმაურა. ის ამტკიცებს, რომ პარტიის დაარსების შემდეგ არანაირი თანხა არ აულია და დასძენს, რომ მან საკუთარი და ოჯახის წევრების სახელით პარტიის მისამართით 60.000 ლარის შემოწირულობა გააკეთა.

# „ფონდი ნატახტარის“ ძალისხმევით 156 მოზარდი დაეუფლება პროფესიას და დასაქმების პერსპექტივა შეექმნება

## თანხის შეგროვების მეხუთე ტალღა დასრულდა



„ფონდმა ნატახტარმა“ საზოგადოებას პროექტის „იზრუნე მომავალზე“ მეხუთე ტალღის ანგარიში წარუდგინა. წლიდან წლამდე ლიმონათი „ნატახტარის“ მომხმარებლის აქტიურობა იზრდება. შესაბამისად, „ფონდი ნატახტარის“ 2016 წლის შედეგი ასეთია — 160 000 ლარი და 156 ბენეფიციარი, რომელიც განათლებისა და დასაქმების მიმართულებით მიიღებს მხარდაჭერას.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში დააფუძნა „ფონდი ნატახტარი“ და დაიწყო საქველმოქმედო პროექტი „იზრუნე მომავალზე“. ყოველ წელს 3 თვის განმავლობაში „ნატახტარის ლიმონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში ირიცხება 1, 3 და 5 თეთრი (შეფუთვების შესაბამისად). 5 წლის განმავლობაში ფონდში შეგროვდა 747 857 ლარი და 300-ზე მეტ მოზარდს გაეწია სხვადასხვა ტიპის მომსახურება განათლებისა და დასაქმების კუთხით.

პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მხარდაჭერით და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.

**ჯუნეით არათი, კომპანია „ნატახტარის“ გენერალური დირექტორი:**

— „ფონდი ნატახტარი“ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს იმ მზრუნველობამოკლებული მოზარდებისათვის, რომლებიც სრულწლოვნები ხდებიან და გადიან სახელმწიფოს მზრუნველობიდან. ამ ხუთი წლის განმავლობაში ფონდში მოზიდული ფულით ჩვენ შევძელით 300-ზე მეტი მოზარდის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება და მათი ცხოვრება უკეთესობისაკენ შევცვალეთ. ეს პროექტი კარგი მაგალითია იმისა, თუ რამხელა ცვლილების მოხდენა შეუძლია კონსოლიდირებულ საზოგადოებას.

**ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ კორპორაციულ საქმეთა დირექტორი:**

— მომხმარებლის ქველმოქმედების შედეგად, რომლებიც უბრალოდ ყიდულობდნენ თავიანთ საყვარელ ლიმონათს, ჩვენ შევძელით და მოვაგროვეთ 160 ათასი ლარი, რაც პირდაპირ და მიზნობრივად იხარჯება მზურნველობამოკლებულ მოზარდებზე. 18 წელი — ეს არის სწორედ ის ასაკობრივი ზღვარი, როდესაც სახელმწიფო მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე ზრუნვას წყვეტს. „ფონდი ნატახტარი“ სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების გაძლიერებას 15 წლიდან იწყებს, რათა 18 წლისთვის მათ უკვე ჰქონდეთ პროფესია და დასაქმების პერსპექტივა. ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათ ღირსეული ცხოვრების დასაწყებად, შესაბამისად, ვეხმარებით სათანადო განათლების მიღებასა და ფსიქოლოგიურ მომზადებაში, ხოლო შემდეგ ასევე უზრუნველვყოფთ მათ ღირსეულ დასაქმებას.

**მანანა ომარაშვილი, ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი:**

— 5 წლის განმავლობაში „ფონდი ნატახტარი“ დაეხმარა 305 ბენეფიციარს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ერთი წლის განმავლობაში ვიმუშავებთ 156 ბენეფიციართან. ეს მაჩვენებელი მივიღეთ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი მოზარდი ცხოვრობს მცირე საოჯახო ტიპის სახლში და რამდენია ზრუნვის სისტემიდან გასული. სამწუხაროდ, ფონდი ვერ სწვდება და ვერ ეხმარება იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ფოსტერ ოჯახებში ცხოვრობენ. სასურველია, ფონდი ისე გაძლიერდეს, რომ ამ მიმართულებითაც შევძლოთ მუშაობა და მათი დახმარება. გარდა ამისა, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ სოციალურ ადვოკატობაზე, რათა თვითმმართველობებმაც გარკვეული პასუხისმგებლობა აიღონ მათზე.

# ფეხბედნიერი ყოფილიყავ „ბუმბერაზო“ ქარის გენერატორო საქართველოსთვის

მადლობა ამ სფეროში მოღვაწე ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, განსაკუთრებით ენერგეტიკის სამინისტროს, რომლებიც მხარს უჭერდნენ და უჭერენ იდეას, რომელსაც ჰქვია განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქარის ენერგიის ათვისებას საქართველოში.

პრაქტიკულად გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება მშენებლობა და უახლოეს პერიოდში გაეშვება ქარის ელექტროსადგური, რომლის დადგმული ელექტრული სიმძლავრე 20.7 მეგავატი იქნება, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია 88 მლნ. კვტ.საათი.

საინტერესო წინა პირობა იქნა გავლილი ამ იდეის განსახორციელებლად, დამუშავებული და გამოქვეყნებული, ასევე პრაქტიკულად შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები კერძოდ:

1. გ. მელია. მზის ენერგიის გამოყენება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მიზნებისათვის. თბილისი 1957 წ.

2. Г. Сванидзе, В. Гагуа, Э. Сухишвили. Возобновлаемые энергоресурсы Грузии. Ленинград, гидрометеоиздат 1987 г.

3. ქარენერგო, 1980 – დღემდე, დაამუშავა. საქართველოს ენერგეტიკული ატლასი, ტომი I, რეგიონალური შეფასებები, თბილისი, 2004 წ.

4. საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრი „ენეკო“. საქართველოში ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების სფეროებში არსებული მდგომარეობა. ინფორმაციულ-ანალიტიკური მიმოხილვა. თბილისი 2001 წ.

5. საქენერგოგენერაცია 2000-2007 წლები – იაპონურ საკონსულტაციო ფირმებთან ერთად, მაგალითად „TOMMEN Co“&„NICHIMEN Co“-თან ხდებოდა ქარის ენერგეტიკული სიდიდეების მაჩვენებლების დადგენა მთა საბუეთზე და ქ. ქუთაისის შემოგარენში, ასევე თბილისის ზღვის მიდამოებში.

6. შპს „სითბო“ – ესპანურ ფირმასთან ერთად, დაწყებული ფოთის აკვატორიიდან და დამთავრებული კრასნაგორსკამდე სულ შვიდ ადგილზე დამონტაჟდა ქარის სიჩქარეების გამზომი 50 მეტრიანი ანძები. ეს პროექტები მიმდინარეობდა ორი-სამი წლის განმავლობაში.

7. ბ. ჩხაიძე. ენერგიის განახლებადი წყაროები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი 2011 წ.

8. მ. ქებურია. განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსები და მათი ენერგეტიკა. 2009 წ.

9. ЕвроУкр Вінд. Исследование ветропотенциаля площадки Аджиметский карьер в Грузии. КИЕВ 2014г შპს ჯორჯიან მანგანაზი – შპს „სითბო“. 2013-2015 წ.წ.

10. ЕвроУкр Вінд. Исследование ветропотенциаля площадки гидроэнергетического комплекса „Варциха 2008“ КИЕВ 2015г შპს ჯორჯიან მანგანაზი – შპს „სითბო“. 2015-2016 წ.წ.

11. თბილზნიეპი (თბილისის ზონალური პროექტირების, ექსპერიმენტალური კვლევის სამეცნიერო ინსტიტუტი) 1976-1990 წ.წ., ჰელიოტექნიკის ლაბორატორია, მიმდინარეობდა სამეცნიერო და საპროექტო სამუშაოები მზის, გეოთერმიის ენერგიის და სხვა განახლებდი ენერგიის წყაროების გამოყენების საკითხებზე.

12. საქართველოს ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული იყო 5-10კვტ სიმძლავრის ქარის გენერატორები.

13. №2 ვარციხეჰესის და ქვემოხანდაკის (კასპის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიებზე ამჟამადაც მიმდინარეობს 50მ და 20მ სიმაღლეებზე ამჟამად მიმდინარეობს ქარის პარამეტრების ჩაწერა.

„საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2016-2026 ათწლიანი გეგმის“ მიხედვით ცხრილ 17.1-ში გამოყოფილია 9 პოტენციური ზონა და მოცემულია, თუ სადაა შესაძლებელი ქარის ელექტრო სადგურების მშენებლობა, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| № | ადგილმდებარეობა | სიმძლავრე (მეგავატი) | წლიური გამომუშავება (მლნ.კვტ.სთ-ი) | მუშაობის ხანგრძლიობა საათი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფოთი | 50 | 110 | 2200 |
| 2 | ჭოროხი | 50 | 120 | 2400 |
| 3 | ქუთაისი | 100 | 200 | 2000 |
| 4 | მთა-საბუეთი I | 150 | 450 | 3000 |
| 5 | მთა-საბუეთი II | 600 | 2000 | 2500 |
| 6 | გორი-კასპი | 200 | 500 | 2500 |
| 7 | ფარავანი | 200 | 500 | 2500 |
| 8 | სამგორი | 50 | 130 | 2600 |
| 9 | რუსთავი | 50 | 150 | 3000 |

მშენებარე ქარის ელექტროსადგური თავისი **„განსაკუთრებული“** ენერგეტიკული მონაცემებით, რომლის დადგმული სიმძლავრე 20.7 მეგავატი იქნება, ხოლო გამომუშავება 88 მლნ. კვტ.საათი და წელწადში 4251 საათს იმუშავებს, უნდა იყოს ეტალონი საქართველოში შემდგომში ასაშენებელი სადგურებთან მიმართებაში, მაგალითათ, როგორიც არის ჰიდროენერგეტიკაში **„რიონჰესი“**, რომლის დადგმული სიმძლავრე 50 მეგავატია და გამომუშავება 350 მლნ. კვტსთ-ი. ეს ნიშნავს, რომ ის წელწადში (8760 საათი), მუშაობს 7000 საათს, ეს თავისთავად უნიკალური მაჩვენებელია

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც ეყრდნობა ჩემ მიერ პრაქტიკულად მიღებულ ინფორმაციულ ბაზას, მე მხარს ვუჭერ დღევანდელი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის ადგილმდებარეობას, რომელსაც მიახლოებით შეიძლება ეწოდოს ქვეყნის შუაგული, საიდანაც შემდგომ უნდა მოხდეს ამ დარგში მომუშავე საინჟინრო პერსონალისათვის ორიენტაცია ქარის ენერგიის ათვისების შემდგომი განვითარებისა. წავიდეთ აღმოსავლეთისკენ, თუ დასავლეთისკენ. მე ვფიქრობ, პირველ რიგში, ადგილზე უნდა მოხდეს მაქსიმალურად ქარის ენერგიის ათვისება და შემდგომ გავეშუროთ აღმოსავლეთისკენ.

მშენებარე ქარის ელექტროსადგური, თავისი პირველადი დანახარჯებით, ენერგეტიკული მონაცემებით, ინფრასტრუქტურითა და თუ გნებავთ ვიზუალით, გაცილებით უფრო მიმზიდველი და ეფექტურია, ვიდრე მთასაბუეთი თავისი ქარიანობის რესურსით, რთული ინფრასტრუქტურით, მკაცრი კლიმატური პირობებითა და გარკვეული სერიოზული სირთულეებით.

ამა წლის, 8 მაისს გერმანიამ რეკორდი დაამყარა – მზიან და ქარიან დღეს განახლებადი წყაროების მიერ გამომუშავებულმა ენერგიამ მოსახლეობის 87% -ით უზრუნველყოფა მოახერხა. ამის გამო ელექტროენერგიის ფასმა იმდენად დაიწია, რომ უარყოფითი გახდა. **ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს ფულს უხდიდნენ ელექტროენერგიის მოხმარებისათვის.** თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გერმანია ასეთი გარღვევისათვის მზად არ აღმოჩნდა.

პირობითად, თუ საქართველო წელწადში მოიხმარს 10 მილიარდ კვტსთ-ს, რომელიც დაახლოებით საშუალოდ უტოლდება 1100-1200 მეგავატ საათურ მოხმარებას და შევთანხმდებით, რომ ამ ენერგიის 45-55%-ს მოიხმარს ქვეყნის მოსახლეობა, რაც შეადგენს 450-550 მეგავატ. ენერგეტიკის სამინისტროს კეთილი ნების შემთხვევაში, მაღალმთიანი რეგიონებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სტიმულის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ჯამში 15-20 მეგავატ სიმძლავრის სადგურების გაშენების და მაშინ, მე ვინატრებდი, რომ საქართველოში ასეთი მზიანი და ქარიანი დღე 20-25 წელწადში დამდგარიყოს.

ღმერთო,

ოდესმე ისევ დიდი და „ბუმბერაზი“ ყოფილიყოს საქართველო.

ბოდიშს გიხდით, რომ ყველას ვერ მოგაქციეთ ყურადღება.

მადლობთ.

**კეთილი სურვილებით.**

**სიმონ ბარამიძე**

**ტელეფონი: 551513372**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო„-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.

გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნებიკონკრეტულიობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჩხორიას ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5000 მ3/ წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხორიას ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

162 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

16,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

281 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 7 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 5 ნოემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 5 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 ნოემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ფიფას მუნდიალის მონაწილეების გაზრდა სურს



ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს სურს, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე გუნდების რაოდენობა 48-მდე გაიზარდოს.

46 წლის შვეიცარიელი ფუნქციონერის გეგმაში შედის, რომ ჯგუფურ ეტაპს, სადაც 32 გუნდი იღებს მონაწილეობას, დამატებითი ფლეიოფის სტადია დაემატოს.

**ჯანი ინფანტინო:**

– ამ თვეში პროექტს კიდევ ერთხელ განვიხილავთ, საბოლოო ვერსია კი 2017 წელს იქნება წარმოდგენილი. მუნდიალზე კვლავინდებურად 32 გუნდი იქნება, უბრალოდ შანსს 48 მიიღებს. ფიფას იდეა ფეხბურთის მთელ მსოფლიოში გავრცელებაა, მსოფლიო ჩემპიონატი კი მხოლოდ ტურნირი არ გახლავთ – ეს სოციალური მოვლენაა.

შეგახსენებთ, რომ მუნდიალი 2018 წელს რუსეთში გაიმართება და ჩვეული ფორმატით ჩატარდება. უკანასკნელი ტურნირი კი, 2 წლის წინ ბრაზილიაში ჩატარდა და გერმანიის გამარჯვებით დასრულდა.

# ბეილის აგენტი მანჩესტერში ნახეს




ესპანური გამოცემების მტკიცებით, მადრიდის რეალის ფეხბურთელის, გარეთ ბეილის აგენტ ჯონათან ბარნეტს გასული კვირის მიწურულს მანჩესტერში საქმიანი შეხვედრა ჰქონდა.

როგორც ირკვევა, ბარნეტი ჟოზე მოურინიოსა და ედ ვუდვორდს შეხვდა. ეს ორი ადამიანი კლუბის მფლობელთა უკან დგანან, მაგრამ მანჩესტერ იუნაიტედში გადაწყვეტილებების მიღების ძალაუფლებას ფლობენ. მათ მომდევნო ზაფხულს ბეილის გადაბირება სურთ.

იუნაიტედმა ბეილის შეძენა სამჯერ სცადა და თუ შესაძლებელი იქნება, ამჯერადაც არ დაიხევს უკან. მადრიდის რეალთან უელსელის კონტრაქტი 2019 წელს იწურება და ითვლება, რომ კლუბში ბედნიერი არ არის, რადგან ჯერ კიდევ კრიშტიანუ რონალდუს ჩრდილქვეშ იმყოფება.

კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე ბეილის შეძენას მიესალმება ადიდასიც, ხოლო ამ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში „წითელი ეშმაკები" ანტუან გრიზმანის შეძენას აღარ ეცდებიან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# საქართველოს ნაკრებმა მომავალი მატჩებისთვის შეკრება დაიწყო



საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ოქტომბრის თვეში ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის. ვლადიმირ ვაისის შეგირდები 6 და 9 ოქტომბერს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრებს გამართავენ ირლანდიისა და უელსის ნაკრებებთან.

ნაკრებმა ამ მატჩებისთვის მზადება დუბლინში დაიწყო და ადგილობრივი კლუბის, მალაჰაიდ იუნაიტედის მოედანზე არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში 21 ფეხბურთელი იყო.

მოგვიანებით ნაკრებს გიორგი მაკარიძე, საბა კვირკველია, თორნიკე ოქრიაშვილი და ლევან მჭედლიძე შეუერთდნენ.

ამ ეტაპზე ირლანდიასთან და უელსთან გამოძახებული ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და დუბლინში დაგეგმილი მატჩისთვის სრული დატვირთვით ემზადება. თუმცა, ტრავმების და არასასურველი სავარჯიშო კონდიციების გამო ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი აბურჯანია და ოთარ მარცვალაძე ვერ დაეხმარებიან.

**საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები**: გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენშე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო)

**მცველები**: უჩა ლობჟანიძე (დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), საბა კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი)

**ნახევარმცველები**: ბუბა დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ვალერი ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა პარუნაშვილი (ყველა დინამო თბ), ვალერი გვილია (ბატე, ბელორუსი)

**თავდამსხმელები**: დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია) ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი).

ირლანდიისა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებთა დაპირისპირება დუბლინის ავივას სტადიონზე 6 ოქტომბერს, თბილისის დროით 22:45 სთ-ზე დაიწყება.

# იუვენტუსს რაკიტიჩი სურს



ბარსელონას ნახევარმცველი, ივან რაკიტიჩი ტურინის იუვენტუსის სატრანსფერო პრიორიტეტებს შორის მოწინავე ადგილს იკავებს. ესპანური მედიის ცნობებზე დაყრდნობით, ზაფხულში ხორვატმა ფეხბურთელმა მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი და „ბებერი ქალბატონი" უარით გაისტუმრა.

როგორც ჩანს, მასიმილიანო ალეგრი დანებებას არ აპირებს, რადგან რაკიტიჩს პოლ პოგბას იდეალურ შემცვლელად აღიქვამს.

სამი ხედირას ხშირი ტრავმიანობისა და კლაუდიო მარკიზიოს სერიოზული დაზიანების გამო, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაკიტიჩი მომავალ სატრანსფერო ფანჯარაზე იუვენტუსის მთავარი სამიზნე იქნება.

შეგახსენებთ, რომ ხორვატი ნახევარმცველის ხელშეკრულება ბარსელონასთან 2019 წელს იწურება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კატალონიური კლუბი ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას გეგმავს.

მიმდინარე სეზონზე რაკიტიჩმა „ლურჯ-ბროწეულისფერთა" მაისურით 9 მატჩი ჩაატარა და აქტივში 2 გოლი ჩაიწერა.

# რას აპროტესტებენ ბიზნესმენი მერაბ ფერაძე და მისი 200-მდე თანამშრომელი




ბიზნესმენ მერაბ ფერაძის ორგანიზებით ლაგოდეხის რაიონში მისივე კომპანიების თანამშრომლებმა უკვე მეორე საპროტესტო აქცია გამართეს.

ამჯერად საპროტესტო აქცია საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომლითაც აკრძალვები და შეზღუდვები დაუწესდა მერაბ ფერაძის ოჯახის საკუთრებაში არსებულ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს".

ბიზნესმენის განცხადებით, ის ხელისუფლებას ორ-სამ დღეს აძლევს რეაგირებისთვის, რომ არ შეწყდეს სამედიცინო ცენტრის და სხვა საწარმოების ფუნქციონირება.

მერაბ ფერაძე საპარლამენტო არჩევნებშიც მონაწილეობს. ის ლაგოდეხი– ყვარლის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატია.

3 ოქტომბერს სოფელ აფენში გამართულ აქციაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა, ძირითადად მერაბ ფერაძის კუთვნილი საწარმოების თანამშრომლები. აქციის მონაწილეებმა მერაბ ფერაძის საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრის და სხვადასხვა საწარმოების შესაძლო დახურვა გააპროტესტეს, რასაც, მათი თქმით, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოიწვევს.

– ასეთი ვარაუდია, რომ ეს საავადმყოფო იხურება. ამ საავადმყოფოს იმედად ვართ. ხალხს არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ავადმყოფი შორს წავიყვანოთ და სანამ იქიდან სასწრაფო მოვა, ჩვენ დავიხოცებით, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ბაღდათში მცხოვრებმა ელვირა გიგოლაევამ.

აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს სამედიცინო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ქეთევან ყაველაშვილმა, კლინიკის მენეჯერმა ირმა მამუკიშვილმა და ცენტრის თანამშრომლებმა.

ქეთევან ყაველაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ცოტა ხნის წინ მერაბ ფერაძე პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატად დარეგისტრირდა, ეროვნულმა ბანკმა თბილისში მოქმედი მისი კომპანია დააყადაღა.

ყაველაშვილის თქმით, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ლაგოდეხში მდებარე საწარმოების დახურვასაც გამოიწვევს და დაახლოებით 500-მდე ადამიანი უმუშევრად დარჩება.

– ბატონ მერაბ ფერაძეს აქვს ძალიან დიდი ზეწოლა ეროვნული ბანკიდან. ეს განხორციელდა არჩევნებამდე ორი კვირით ადრე. ეს ყველაფერი ხდება მიზანმიმართულად. ის ობიექტი, რომელიც მას დაუყადაღეს, არის ხერხემალი ყველა ამ ბიზნესისა. ის რომ გაჩერდება, აქ კლინიკაც გაჩერდება. აქეთ იმდენი ობიექტებია, ლუდის ქარხანა, ლიმონათის ქარხანა, წარმოებები, რესტორნები და ა.შ. ლამის 500 კაცი ჰყავს დასაქმებული.

თუ ბატონ მერაბ ფერაძეს რამე აქვს არაკანონიერად, ხომ შეიძლება ყველაფერი იყოს მართვადი და გამოსწორებადი, – აღნიშნა ქეთევან ყაველაშვილმა.

სამედიცინო ცენტრის მენეჯერ ირმა მამუკიშვილის განცხადებით, ცენტრის დახურვის შემთხვევაში 3 ათასი დაზღვეული, მათ შორის ის პაციენტები, რომლებიც დიალიზით მკურნალობას საჭიროებენ, მომსახურების გარეშე დარჩებიან.

❖ ❖ ❖

მერაბ ფერაძის სამედიცინო ცენტრი 2014 წლის სექტემბერში გაიხსნა, 2015 წლიდან კი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობს.

აქციის მონაწილეებისთვის სიტყვით არ მიუმართავს მერაბ ფერაძეს. მან უარი თქვა ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთებაზეც და აღნიშნა, რომ ხელისუფლების რეაგირებას დაელოდება 2-3 დღე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 20 სექტემბრის განკარგულებით, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს" აკრძალვები და შეზღუდვები დაუწესდა.

„საფინანსო კომპანია საქართველოს" სარეკლამო რგოლების მიხედვით, კომპანია მოსახლეობას ყველაზე დიდპროცენტიან მოგებას სთავაზობს. კომპანიის ინფორმაციით, წლიური სარგებელი წლის ბოლოს გატანით 33%-ს შეადგენს.

❖ ❖ ❖

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, ამ სახელწოდებით ორი ორგანიზაცია არსებობს. პირველი რეგისტრირებულია 2008 წლის 20 ივნისს და მისი 100%-იანი წილის მფლობელი ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში მცხოვრები ლამარა ფერაძეა, რომელიც მერაბ ფერაძის დაა.

იგივე სახელწოდებით მეორე კომპანია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია 2013 წლის 14 აგვისტოს და მისი 100% წილის მფლობელი თამარ მეტრეველია. იგი მერაბ ფერაძის მეუღლეა.

კომპანიის მთელი ქონება იპოთეკით არის დატვირთული. შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრის მონაცემებით, ორივე კომპანია მოქმედი საწარმოა.

რამდენიმე თვის წინ მერაბ ფერაძემ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართა. წერილში ბიზნესმენი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს კახა ჯამბურიას და იმ პერიოდში კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილს ბიზნესსაქმიანობის ხელშეშლაში ადანაშაულებდა.

მერაბ ფერაძეს ლაგოდეხის რაიონში რამდენიმე ობიექტი უნებართვოდ, კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით აქვს აშენებული. მათ შორის, ბიზნესმენს სასამართლო დავა აქვს ლუდსახარშ „აფენის" მეპატრონე მალხაზ ნადირაძესთან, რომლის კუთვნილ ტერიტორიაზეც შეიჭრა და, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ლუდსახარში ააშენა.

ფერაძის ორგანიზებით, მიმდინარე წლის ივნისში, მის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა კომპანიის თამანშრომლებმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაც გამართეს. მაშინ მერაბ ფერაძე მუნიციპალიტეტისგან სოფელ ჭაბუკიანის სპორტული მოედნის და კიდევ რამდენიმე ადგილის მისი კომპანიის საკუთრებაში რეგისტრაციას ითხოვდა.

მერაბ ფერაძის საკუთრებაშია საფეხბურთო კლუბი „ჰერეთი", ლიმონათის და სასმელი წყლის საწარმო, აფენში მდებარე რესტორანი, ლუდსახარში და სხვა კომერციული ობიექტები.

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# №20 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატის ჯემალ გახოკიძის მხარდაჭერას ითხოვენ აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები და დევნილები



ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი ჯემალ გახოკიძე მაჟორიტარ დეპუტატად კენჭს იყრის ბლოკ თოფაძე-მრეწველები „ჩემი სამშობლო“ №20 საარჩევნო ოლქში. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მაჟორიტარი დეპუტატისათვის მხარდაჭერა, რომელიც შეძლებს პარლამენტში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გაყინული კონფლიქტების საკითხის დასმას და შემდგომი პროცესების მართვას ჩვენს ძმებთან – აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის გზით ადრინდელი ურთიერთობის აღსადგენად, რაც არ უნდა ძნელად გვეჩვენებოდეს ის.

ბატონი ჯემალ გახოკიძე წლების განმავლობაში მუშაობდა ჰონკონგი-ჩინეთის 155-წლიანი კონფლიქტის მაგალითზე და ურთულესი დიალოგით, კომპრომისების ძიებით ორი დიდი სუპერ სახელმწიფო – ინგლისი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 1984 წელს შეთანხმდნენ კონფლიქტის დარეგულირებაზე. შედეგად, 1997 წლის პირველ ივლისს სოციალისტურ ჩინეთს დაუბრუნდა კაპიტალისტური ჰონკონგი ინგლისის გავლენის ქვეშ, ამით თითქმის გადაულახავი პრობლემა მოგვარდა.

ჯემალ გახოკიძის ხელში ზემოთ აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების ეს თეორიული პრეცედენტი ჩვენთვის შეიძლება მზა წამალი აღმოჩნდეს მისი პარლამენტში დეპუტატად მოხვედრის შემთხვევაში.

ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილია, ბატონი ჯემალ გახოკიძის უდიდესი დამსახურება მისი უშიშროების მინისტრად ყოფნის დროს დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებაში და სისხლისღვრის გარეშე ურთულესი ოპერაციების ჩატარებაში საკუთარი სიცოცხლის ფასად. ერთი სიტყვით, უფსკრულის პირას მყოფი საქართველოს უკეთესობისაკენ შემობრუნებამ მის მხრებზე გადაიარა.

ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული მის საარჩევნო კომპანიაში და გაოცებულები ვართ მისი ადამიანური ღირსებებით, საზოგადოებასთან ურთიერთობითა და ეფექტური კომუნიკაბელურობით. მას ერთი წუთითაც არ ავიწყდება საზოგადოებისა და კერძოდ, ჩვენი დევნილების ჯანმრთელობისა და ცხოვრების ყოფითი პირობების შესახებ და პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში ჰპირდება მათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებასთან ადაპტირებაში დახმარებასა და ხელშეწყობას.

ამიტომ აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები მიმართავენ თხოვნით გლდანის ა და II მიკრორაიონების, ავჭალის ტერიტორიის, გლდანულა და სოფელ გლდანის ამომრჩევლებს და ამავე ტერიტორიაზე ჩასახლებულ დევნილებს ხმა მისცენ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს, ბატონ ჯემალ გახოკიძეს, რაშიც მას პარლამენტში ანალოგი არა ჰყავს.

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მშობლიური და მშვიდობიანი აფხაზეთისათვის“ თავმჯდომარე ნაპო მესხია;**

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამურზაყანოს“ თავმჯდომარის მოადგილე რაჟდენ ქარდავა;**

**დევნილი მხარდამჭერები: მოგელ ზუხბაია, ნაპოლეონ კონჯარია, ჯუსტან ჯობავა, ნოდარ ჯოლოგუა, ფრიდონ გამსახურდია, გენო ლატარია**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ვიქტორია ნულანდი მოსკოვში ჩავა



ამ კვირაში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი მოსკოვს გაემგზავრება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შედგება ეს ვიზიტი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პუტინთან შეხვედრისას დონბასში გამწვავებულ მდგომარეობას განიხილავენ. ნულანდის მიზანია დონბასში დაძაბულობის განმუხტვა და მინსკის სამშვიდობო პროცესის გადარჩენა.

## რომან სუშჩენკოს დაკავების გამო საერთაშორისო სკანდალი აზვირთდა

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მოსკოვში უკრინფორმის თანამშრომელი, ჟურნალისტი რომან სუშჩენკო დააკავეს. რუსეთის დედაქალაქში ის ნათესავების მოსანახულებლად ჩავიდა. ჟურნალისტი რუსულმა ფსბ-მ დააპატიმრა. მას ბრალი შპიონაჟში დასდეს.



– სუშჩენკოს აკრედიტაცია არ გააჩნდა. ის უკრაინის სამხედრო დაზვერვის ოფიცერია და რუსეთის ტერიტორიაზე საიდუმლო ინფორმაციას აგროვებდა, – ნათქვამნია ფსბ-ს პრესცენტრის შეტყობინებაში.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ ბრალდება უარყო. უკრაინის კონსულმა რუსეთში დაკავებულის ნახვა მოითხოვა. რუსეთის ხელისუფლებამ მისი თხოვნა უარყო. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა კი განაცხადა:

– სუშჩენკო უკანონოდაა დაკავებული! მივმართავ მსოფლიო საზოგადოებას, რათა მის გასათავისუფლებლად ყველაფერი იღონოს!

მინისტრმა აღნიშნა, რომ სუშჩენკოს საკითხს დააყენებენ ევროპარლამენტის სხდომაზე, რომელიც მომავალ კვირას დაიწყება.

გაცილებით რადიკალური იყო უკრაინის პარლამენტის სპიკერის, ანდრეი პარუბიის გამოსვლა.

– აუცილებელია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და სავიზო რეჟიმის შემოღება, – განაცხადა პარუბიიმ.

## თურქეთში საგანგებო მდგომარეობა გააგრძელეს

თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ საგანგებო მდგომარეობის ვადა კიდევ ორი თვით გააგრძელოს. ამის თაობაზე ჟურნალისტებს თურქეთის ვიცე-პრემიერმა განუცხადა.

თურქეთში საგანგებო მდგომარეობა მიმდინარე წლის აგვისტოში შემოიღეს, როცა სამხედროების ჯგუფმა გადატრიალების მოწყობა სცადა.

დამთავრდა სამსახურებრივი კვლევა თურქეთის პოლიციაში. შექმნილი მდგომარეობის გამო პუტჩის დროს გამოჩენილი არასაკმარისი პრინციპულობის, დოყლაპიობისა და სამსახურებრივი




დაუდევრობის გამო, თანამდებობიდან 8.000 პოლიციელი გაათავისუფლეს.

## მოსკოვში ბორის ნემცოვის მკვლელების სასამართლო პროცესი დაიწყო



მოსკოვში რუსი პოლიტიკოსის ბორის ნემცოვის მკვლელთა სასამართლო დაიწყო. ბრალდებულთა ადვოკატები ირწმუნებიან, რომ საქმე ბოლომდე არ არის გამოძიებული და განსასჯელთა ბრალეულობის საკმარისი დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს.

## სირია: რუსული ბომბებით მიწისქვეშა ჰოსპიტალი დაზარალდა

რუსეთი სირიის დაბომბვას განაგრძობს. ქალაქ ჰამში რუსული დაბომბვის შედეგად მიწისქვეშა ჰოსპიტალი დაზარალდა.

– იმას, რასაც რუსები სჩადიან, მხოლოდ ერთადერთი რამ უნდა ვუწოდოთ: ეს სამხედრო დანაშაულია, – აცხადებს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯონსონი.

მინისტრის აზრით, უახლოეს მომავალში რუსეთი აბსოლუტურ იზოლაციაში



მოექცევა. სანქციებიც რუსეთის მიმართ გაძლიერდება.

## პუტინი ყაზახეთში ჩავიდა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩავიდა. ის უშუალოდ შეხვდება ყაზახეთის პირველ პირებს, მონაწილეობას მიიღებს რუსეთ-ყაზახეთის ბიზნეს-ფორუმის მუშაობაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ასტროპროგნოზი
### 5 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **კურო** – პასიურად ხართ. მოთმინება გმართებთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ტყუპები** – პოზიტიური პერიოდი გაქვთ. იდეების რეალიზაციაში ხელი არ გეშლებათ. მივლინებები, ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებულია. **კირჩხიბი** – მრავალ ხელსაყრელ პროექტს დიდი ძალისხმევის გარეშე ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ლომი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ქალწული** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **ღრიანკალი** – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – დეპრესიული პერიოდი გაქვთ. კარგი იქნება განმარტოება და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. **მერწყული** – მოვლენები თქვენთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდება. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ემოციები მოთოკეთ. **თევზები** – მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული გრძელთმიანი მაიმუნი; 3. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ჩაის ნორჩი ყლორტი; 13. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 14. აეროპორტი მილანში; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. რძის პროდუქტი.

**თარაზულად**: 6. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 7. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 8. გარდაუვალი ბედისწერა; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი; 10. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 11. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 19. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 21. შრი-ლანკას დედაქალაქი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟოქო; 2. ვეკუა; 3. ხაიამი; 5. „რუმბა“; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. აზნაური; 12. „აირზენა“; 14. უოლესი; 15. „დავითი“; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. ჟენევა; 4. ორმუზდი; 7. ჰაკერი; 9. მყვარი; 11. ფორმოზა; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. გლორია; 18. პელე; 19. ინტელექტი; 20. მორიკონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყარაუნი; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. პუარო; 5. გოზინაყი; 8. საზამთრო; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. „სანტე“; 20. ოსლო.

**თარაზულად:** 6. მარიფათი; 7. წყალტუბო; 8. „სუდოკუ“; 9. კუკია; 10. მეცენატი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. აილამა; 19. მონოციკლი; 21. მურმანი; 22. ბუდაპეშტი; 23. „როლექსი“.

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# კახი კავსაძე რუსეთში დააჯილდოვეს





ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი კახი კავსაძე რუსეთში დააჯილდოვეს. რეჟისორ ალექსანდრ ამუროვის ფილმში „ტილი და ტოლი" შესრულებული როლისთვის ქართველი მსახიობი ნომინაციაში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გამარჯვებულად დასახელდა.

თეატრისა და კინოს რიგით მე-14 ფესტივალმა „ამურის შემოდგომა" რჩეულები საზეიმო ვითარებაში დაასახელა. კახი კავსაძის გარდა, სხვადასხვა ნომინაციებში ქართველმა ხელოვანება გაიმარჯვეს.

ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა ვანო ბურდული ფილმისთვის „გაყინული შადრევნების წელიწადი".

ფესტივალის საპატიო პრიზი ოქროს წერო კი წელს რეჟისორსა და სცენარისტს ირაკლი კვირიკაძეს გადაეცა.

# ლადო გუდიაშვილი 120 — საიუბილეო კრებული გენიალურ მხატვარზე




2016 წელი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის წელია. წელს მისი დაბადებიდან 120 წელი შესრულდა. მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა გამოფენები თუ კულტურული დაწესებულებები ლადო გუდიაშვილის იუბილეს აღნიშნავდნენ.

ხელოვანის 120 წლის იუბილეს გამოეხმაურა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება". მისმა პრეზიდენტმა ბონდო კობაძემ გამოსცა 350 გვერდიანი წიგნი-ალბომი „ლადო გუდიაშვილი 120", რომლის წარდგინებაც 22 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში იყო დაგეგმილი, თუმცა მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალების გამო, ღონისძიება 25 ოქტომბერს გადაიდო.

კრებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოიცა. წიგნში გაერთიანებულია საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ხელოვანების, მწერლების თუ პოეტების მოგონებები ლადო გუდიაშვილზე.

ფონდმა მხატვრის 120 წლის იუბილე ორდღიანი ღონისძიებებით აღნიშნა თბილისსა და დუშეთში. მთაწმინდის პანთეონში ლადო გუდიაშვილის საფლავთან აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპული ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურების კავშირის „დიოსკურია 2005"-ის პრეზიდენტმა სერგო წურწუმიამ ბონდო კობაძე მშვიდობის ოქროს ვარსკვლავით და მშვიდობის დროშის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

მომავალ წელს ფონდი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლის იუბილეს და ეროვნული საქმიანობის 30 წლის იუბილეს აღნიშნავს.

# ახალგაზრდა ჟურნალისტს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება

ახალგაზრდა ჟურნალისტი ნინო სულაბერიძე ურთულეს დაავადებას თავის ტვინის სიმსივნეს ებრძვის. ნინომ უკვე გაიკეთა სამი უმძიმესი ოპერაცია, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, მდგომარეობა მოულოდნელად დამძიმდა.

უახლეს ინფორმაციას ნინო სულაბერიძეზე მისი მეგობარი და კოლეგა, ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი მარიამ ოშხნელი ავრცელებს:

— არ ვიცი, როგორ დავიწყო, როგორი ფორმით გთხოვოთ, ისიც არ ვიცი, საერთოდ როგორ უნდა ვილაპარაკო ამბავზე, რომელიც ძალიან მტკივა!

მახსოვს, ზაფხულში, როცა ნინის მესამე ოპერაცია გაუკეთეს, დავწერე, ხმამაღლა თქმის მეშინია, რომ ყველაფერი კარგად არის-თქო...

2 თვეზე მეტი გავიდა და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მართლა არ არის კარგად! ტომოგრაფიის პასუხი გაიგზავნა თურქეთში, სადაც ბოლო ოპერაცია გაუკეთდა და იქიდან მოვიდა პასუხი, რომ ნინის სასწრაფოდ სჭირდება ჩარევა „კიბერ დანით"! ჯერ კარგად არ ვიცი, ეს რა სახის სამედიცინო მანიპულაციაა, მაგრამ უკვე ვიცი, რომ 26 ათასი დოლარი ჯდება!

ოჯახს 26 კი არა, 6 დოლარიც აღარ აქვს. მე ვიცი, რომ ყველა დაეხმარებით, თუნდაც 1 ლარით პატარა ლუკას ულამაზეს დედიკოს... კიდევ ერთხელ, კიდევ ერთად თუ მოვახერხებთ ამ გოგოს დაფინანსებას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



**ნინო სულაბერიძე**
*ანგარიშის ნომერი:*
**GE 80 BG 0000000562802100**
*საქართველოს ბანკი*

# ჩელსის ჯო ჰარტის შეძენა სურს



ლონდონის ჩელსი ზამთარში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას და ლონდონელებს რამდენიმე სამიზნე უკვე შერჩეული ჰყავთ.

მათ შორის ერთ-ერთი ჯო ჰარტია, რომელიც ამჟამად იჯარის წესით იტალიურ ტორინოში თამაშობს.

ჰარტმა მანჩესტერ სიტი გვარდიოლასთან უთანხმოების გამო დატოვა და მისი დაბრუნება ამ გუნდში საეჭვოა. ჩელსის მწვრთნელი ანტონიო კონტე ტიბო კურტუას თამაშით უკმაყოფილოა და მის შემცვლელს ეძებს, რომელიც სავარაუდოდ ჯო ჰარტი იქნება.

თვითონ ჰარტს თავის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# თინა ხიდაშელი: „პედაგოგებს აშანტაჟებენ"

ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თინათინ ხიდაშელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავასა და ხელისუფლებას მიმართავს.

თინათინ ხიდაშელი რეგიონებში რესურსცენტრებში არსებულ ვითარებაზე, პედაგოგების დაშანტაჟებასა და დაშინებაზე საუბრობს.

'— მინდა მივმართო განათლების მინისტრს ბატონ ჯეჯელავას, ზუსტად ისეთი მდგომარეობაა, როგორიც იყო 2012 წლის არჩევნებამდე, რეგიონებში რესურსცენტრების მხრიდან. ზუსტად ისევე მიმდინარეობს პედაგოგების შანტაჟი, დაშინება, ზუსტად ისევე ძალით მიჰყავთ პედაგოგები სხვადასხვა შეხვედრებზე და იძულებულს ხდიან, იმის შიშით, რომ მათ დაატოვებინებენ სამსახურს, გააკეთონ ხელისუფლებისთვის სასურველი არჩევანი.

ჩვენ, ყველამ ერთად, 2012 წელში დავტოვეთ ის დრო, როდესაც ადამიანებს აშინებდნენ სამსახურებიდან გათავისუფლებით, აშინებდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო პოლიტიკური არჩევანის გაკეთების შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის სოციალური, თუ თანამდებობრივი პასუხისმგებლობით, ამიტომ, ყველას მინდა ვთხოვო, სააკაშვილის გადმონაშთებს, რომ სააკაშვილის რეჟიმის ყველაზე მძიმე მახასიათებლებს ნუ გაიმეორებენ.



მე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას, რომ მათ არჩევანს არ უტოვებენ, მე კარდაკარს ვატარებ ზესტაფონში და პირადად შევესწარი ამ ფაქტს, რომ ჩემი თანდასწრებით იღებენ პედაგოგები მსგავს სატელეფონო ზარებს.

განათლების მინისტრს მინდა პირადად მივმართო, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემ და მისი დიდი იმედი მაქვს, რომ ის პრინციპულად განსხვავებული თვისებების, ხასიათის, ღირებულებების მატარებელი ადამიანია და ძალიან მკაცრად მოკიდოს ხელი მის დაქვემდებარებაში მყოფ რესურსცენტრებს.

მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მათ დავალებები ბატონი ჯეჯელავასგან არ მიუღიათ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სუსია ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი, მაგრამ ეს ადამიანები განათლების სამინისტროს სისტემის თანამშრომლები არიან და, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო, – ნათქვამია თინა ხიდაშელის მიმართვაში.

*ინტერპრესნიუსი*

## პროგრამა

**ოთხშაბათი
5 ოქტომბერი**

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ეშმაკის სამკუთხედი" 08.00 ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**პირველი გვერდი**" (ჯ.ლემონი) 15.00 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ეგვიპტე" 20.00 მოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 "x სტუდია" 23.30 მხ/ფ "**ველური მდინარე**"(მ.სტრიპი) 01.30 მხ/ფ "**ტყუპები**"

08.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანფიქრი" 09.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**შეკლეტონი**" I ნაწ. 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანფიქრი" 19.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00, 01.00 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 ს დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**საჰარა**" 03.00 დ/ფ "JAY-Z" (ტიტ.)

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00, 23.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 7-8 სერ. 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 01.00 სიახლენი 10.30 დ/ფ "და გათავდება ყველა ტკივილი" 11.05 ერთხელ ბავშვობაში 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" 1 ნაწ. 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.20 ტელეზღაპარი "დედა" 15.35 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.00 კონცერტი 16.50 კვირიაკის სიუჟეტი 17.15 ჩვენი ფონდი 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" 20.40 ძილი ნებისა "მგელი და კრავი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 გამოყენებითი ხელოვნება "დაღესტნური ჭედურობა" 00.25 ისტორიის დღიური 00.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.40, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.10 "ბიზნეს კონტაქტი" 13.00 სერ. "**ვერონიკა**" 14.05, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35, 2.00 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 19.45 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 22.55 "აკრედიტაციის გარეშე" 23.20 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3277 | ევრო — 2.6159 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9964 | 100 რუსული რუბლი — 3.7404 |

## ამინდის პროგნოზი 5 ოქტომბრისთვის





## 30 სექტემბრიდან
# სოლომონ მეფის საგანძური

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი



**მაგარი ყდა, 248 გვერდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 4 ოქტომბრიდან
# ღვინის დაგემოვნება



**მაგარი ყდა**
**208 გვერდი**
**ფორმატი 17/22,5**

„პრაქტიკული კურსი – ღვინის დაგემოვნება" დაგეხმარებათ, აღმოაჩინოთ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოები; გაიგოთ, სურნელისა და არომატის როგორი ბუკეტი ახასიათებს ამა თუ იმ ღვინოს და რას ნიშნავს ღვინის სხეულიანობა, სიღრმე, სიხალასე თუ სისავსე.

აქვე ქართული ღვინოების შესახებაც იპოვით ინფორმაციას და წაიკითხავთ მსოფლიოში უნიკალური, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული მეთოდის შესახებ.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## ვლადიმირ ვაის უმცროსი დააპატიმრეს



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შვილი ვლადიმირ ვაის უმცროსი დააპატიმრეს. ვაისმა ალკო ტესტის გავლაზე უარი თქვა, როდესაც ის პოლიციამ გააჩერა, რის შემდეგაც ვაისი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს გასტანს უმცროსი ვაისის პატიმრობა, მაგრამ ის სლოვაკეთის ნაკრების მატჩებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის შესახებ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იან კოზაკმა განაცხადა.

ვლადიმირ ვაისი სლოვაკეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

## მარკო როისმა ვარჯიში დაიწყო



დორტმუნდის ბორუსიას ფორვარდმა მარკო როისმა, რომელსაც უკვე რამდენიმე თვეა ტრავმა აწუხებს, ვარჯიში განაახლა.

როისმა ტრავმა მაისში მიიღო, რის გამოც მან ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა.

ამჟამად მარკო თითქმის გამოჯანმრთელდა, მაგრამ მას სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერჯერობით არ შეუძლია და უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე.

როისის არყოფნაში ბორუსიას შეტევა საკმაოდ კარგად გამოიყურება და როისის ტრავმას ბორუსიაზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია.

## ირლანდიის ნაკრები საქართველოსთან შეხვედრას დანაკლისით ხვდება



როგორც მოგეხსენებათ, 6 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები დუბლინში ირლანდიას დაუპირისპირდება.

ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა შეხვედრის წინ იმ დანაკლისზე ისაუბრა, რომელიც მის ნაკრებს აქვს.

– ნაკრების ბევრი ფეხბურთელი ტრავმირებულია, მაგრამ ჩვენ გვყავს ისეთი შემადგენლობა, რომ ღირსეულად ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ. საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლიერია და მასთან მთელი ძალით თამაშს ვაპირებთ, – განაცხადა მარტინ ონილმა.

ირლანდიის შემდეგ საქართველოს ნაკრები უელსს დაუპირისპირდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ამერიკაში ბარში ახალგაზრდა შევიდა, დახლთან მეტად ლამაზი გოგონას გვერდით მოკალათდა, სასმელი შეუკვეთა და გოგონას ხელზე საათს შეხედა. გოგონა გაკვირვებული სახით ეკითხება:

– თქვენ რა, საათი არ გაქვთ?

– იცით რა, არც ისე დიდი ხნის წინ ტელეპატიური საათი შევიძინე...

– მართლა? მერე?

– მართალია, ის დროს არ მაჩვენებს, მაგრამ სხვა რაღაცები ეხერხება.

– და რა ეხერხება?

– აი, მაგალითად, ის მაჩვენებს, რომ თქვენ საცვალი არ გაცვიათ.

– ცდებით, საცვალი მაცვია...

– ჰმ... როგორც ჩანს, ჩემი საათი ერთი საათით წინაა.

●●●

ინგლისურ ბარში თბილი კომპანია ერთობა. უცბად ერთი კითხულობს:

– ჯენტლმენებო, საინტერესოა, შერლოკ ჰოლმსი რატომ არ დაქორწინდა?

– კი მაგრამ, ეს ხომ ელემენტარულია...! – უპასუხა ერთ-ერთმა.

ყველა ერთხმად:

– ვატსონი???

●●●

ორი სომეხი ქუჩაში მიდის. უცბად ერთი მეორეს მიუბრუნდა და ეკითხება:

– მომისმინე, შენ რომ ორი ერთნაირი ძალიან მაგარი მერსედესი გყოლოდა, აი ისეთი, შიგნით ბარიც კი რომ არის, ერთს მე მომცემდი?

– ჩვენ უკვე რამდენი წელია ვიცნობთ ერთმანეთს? ოცდაათი წელი? ჩვენ ხომ სკოლის მეგობრები ვართ. ჰოდა, რას მეკითხები? რა თქმა უნდა, ორი ასეთი მერსედესი რომ მყოლოდა, ერთს ნამდვილად შენ მოგცემდი.

გააგრძელეს გზა. უცბად ერთი ისევ მიუბრუნდა მეორეს და ეკითხება:

– აბა წარმოიდგინე, რომ შენ ორი ერთნაირი ძალიან მაგარი, მდიდრული იახტა გაქვს, ერთს მე მომცემდი?

– მეგობარო, რა კითხვებს მისვამ? ჩვენ ხომ ძმებივით ვართ, ქორწილში ჩემი მეჯვარე იყავი, ბავშვი მომინათლე... რა თქმა უნდა, ორი ერთნაირი იახტა თუ მექნებოდა, ერთს შენ მოგცემდი.

გზას აგრძელებენ. უცბად ერთი მეორეს ისევ ეკითხება:

– აბა წარმოიდგინე, რომ ორი ქათამი გყავდეს...

– ეე, ეს უკვე უსინდისობაა. შენ ხომ იცი, რომ ორი ქათამი მყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 6 ოქტომბრიდან
# ჩემი პირველი სიტყვები
# ჩემი დღე

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**







## 7 ოქტომბრიდან
# ქართული ხალხური ზღაპრები

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**მაგარი ყდა, ფერადი გვერდები**


## ქართველი ბოულერები ჩინეთში მიდიან



14-23 ოქტომბერს ჩინეთში, ქალაქ შანხაიში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი ბოულინგში, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს.

ამ ტურნირზე საქართველოს წარმომადგენელი იქნება მერაბ აქუბარდია, რომელმაც ბოულინგის ფედერაციის მიერ ჩატარებულ საკვალიფიკაციო ტურნირში გაიმარჯვა. ქართველი მოთამაშე პირველად იქნება წარდგენილი ბოულინგის მსოფლიო თასზე, რაც ამ სპორტის განვითარებას საქართველოში უდავოდ ხელს შეუწყობს.

4 ოქტომბერს, გასართობ ცენტრ მაქსილენდში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი წულაძემ ბრიფინგი გამართა, სადაც მან მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებულ თემებზე ისაუბრა.

– ამ ტურნირზე მონაწილეობა ჩვენთვის წინგადადგმული ნაბიჯი და დიდი გამოწვევაა. ძალიან მიხარია, რომ საქართველოს პირველად თავის ისტორიაში ეყოლება წარმომადგენელი მსოფლიოს ჩემპიონატზე. კარგი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ, ამიტომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის, – განაცხადა ირაკლი წულაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ბოულინგი საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება და ის ფაქტი, რომ ქართველი მონაწილე ასეთი მასშტაბის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ბოულინგის პოპულარიზაციას კიდევ უფრო დააჩქარებს.

საქართველოს გარდა, მსოფლიო ჩემპიონატში 90 ნაკრები ითამაშებს.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მარჯნის ძველი ქართული სახელწოდება; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 5. სპირტიანი სასმელი; 6. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კინორეჟისორი; 12. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 14. იმრე კალმანის ოპერეტა; 15. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 16. ხელოვნური მარმარილო.

**თარაზულად:** 1. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 4. გარეული ცხოველის საჭერი მახე; 7. ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 9. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 11. უდაბნოში გავრცელებული ეკლიანი მცენარე; 12. წყნარი ოკეანესპირა კურორტი მექსიკაში; 13. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 17. ქართული მონასტერი გულრიფშის რაიონში; 18. საფრანგეთის კოსმოდრომი გვიანაში; 19. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 20. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

